619
1970
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 1 იანვარი 1970




# ახალ წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (398) იანვარი, 1970 წ.

გამოცემის წელი 48-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კ პ ც კ გამომცემლობა



# უსასყიდლოდ და სამუდამოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე შავი მიწა მაინც რომ
სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდის — რა ვიცი,
მე რაღა დამაღონებდა.

ძველი ქართველი პოეტის ამ სიტყვებში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა გლეხკაცის ყველაზე დიდმა ტკივილმა და სატანჯველმა, საუკუნეებით დაგროვილმა მისმა დარდმა და წუხილმა; მიწა — ეს იყო გლეხკაცის ნატვრა და ოცნება; ფეხქვეშ იყო მიწა, კაცი დღე და ღამ მას ჩასცქეროდა, ხნავდა, სთესავდა; ფეხქვეშ და ახლოს იყო, მაგრამ თანაც ძალიან შორს იყო, სანატრელი და მიუწვდომელი — სხვისი იყო ეს მიწა — მემამულისა, ბობოლასი, მდიდრისა; ღატაკს კი სად შეეძლო ეყიდნა იგი...

ამიტომ მოთქვამს გლეხკაცი ამ ლექსში, და ეს დარდი, ეს სატანჯველი გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე.

დიდმა ლენინმა, ოქტომბრის რევოლუციამ დაუბრუნეს გლეხობას ეს ფასდაუდებელი საუნჯე — საუკუნეებით ნანატრი და ნაოცნებარი მიწა.

კოლმეურნეობის ხანიმუშო წესდებაში, რომელიც მიიღო კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობამ, აღნიშნულია:

„სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, მიწა, რომელიც კოლმეურნეობას უჭირავს, ეძლევა უსასყიდლოდ და უვადო სარგებლობისათვის, ესე იგი სამუდამოდ“.

* * *

საბჭოთა ადამიანები ახლა ცხოვრობენ და შრომობენ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის დოკუმენტების შთაბეჭდილებით, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო მრავალმილიონიანი კოლმეურნე გლეხობის ურყევი ერთგულება ლენინის ანდერძისადმი, კომუნისტური მშენებლობის საქმისადმი. ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი მკაფიოდ გამოხატავენ ჩვენი პარტიის კურსს, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებას, ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას. ეს გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირის უფრო მეტად განმტკიცებას, მათ მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ყრილობამ ახალი ეტაპი დაიწყო საკოლმეურნეო წყობილებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის განვითარებაში, განსაზღვრა და დაასაბუთა ამოცანები, რომლებიც შეესაბამებიან არა მარტო მინდვრებისა და ფერმების მშრომელებს, არამედ აგრეთვე მუშათა კლასის, ინტელიგენციის, მოსახლეობის ყველა ფენის ძირეულ ინტერესებს. ეს აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს, ახალ ძალებსა და ენერგიას მატებს შრომით კოლექტივებს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სამუშაოთა ფრონტი, გადაშლილი ჩვენს წინაშე — დიდია და მრავალფეროვანი. წარმატებით რომ განვახორციელოთ სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანები, საჭიროა მთელი ხალხის უდიდესი მეცადინეობა და შემოქმედებითი შრომა. ახლა განსაკუთრებით საჭიროა სიზუსტე და სიმწყობრე წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მართვის ყველა რგოლის მუშაობაში, თაოსნობა, ორგანიზებულობა, მტკიცე დისციპლინა და თვითეული მუშაკის მაღალი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

კოლმეურნეთა ყრილობის გადაწყვეტილებებსა და დოკუმენტებს დიდი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა აქვთ. ისინი საფუძვლად უნდა დაედოს სოფლის პარტიული ორგანიზაციების მთელ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. საჭიროა ყრილობის მასალების შინაარსი და ღრმა აზრი გავაცნოთ თვითეულ მიწათმოქმედსა და მეცხოველეს. ამ მუშაობაში უნდა ჩავაბათ ხელმძღვანელი მუშაკები, პროპაგანდისტები, მომხსენებლები, სპეციალისტები, სოფლის ინტელიგენცია, პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა კოლექტივები. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ, საზოგადოება „ცოდნამ“.



კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობის დელეგატები. მარცხნიდან — ნ. ყოჩიაშვილი, მ. ქევხიშვილი, დ. მამისაშვილი და ვ. უტიაშვილი.

განსაკუთრებული როლი ენიჭება აქ ჩვენს ბეჭდვით სიტყვას, ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს. მათი წყალობით მთელმა ქვეყანამ უნდა გაიცნოს სახელები და საქმენი იმ ადამიანებისა, რომლებიც ჰქმნიან საქვეყნო დოვლათსა და სიმდიდრეს; ამავე დროს, პრესამ ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი და დროზე მიუთითოს, თუ სადმე საქმეში რაიმე ხარვეზი გამოჩნდება.

ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების ფართო პროპაგანდა ხანმოკლე კამპანია არ არის. ჩვენ ეს მუშაობა სისტემატურად უნდა ვაწარმოოთ, და ვაწარმოოთ ისე, რომ ამას თან სდევდეს მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის შრომითი აქტივობის ზრდა.

მოწინავეთა გამოცდილების გავრცელება და დანერგვა — ეს არის ზრუნვა ჩვენი სამშობლოს შემდგომი წარმატებისა და აყვავებისათვის, ეს ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა, ისტორიული ამოცანაა, და მის წარმატებით შესრულებისაკენ უნდა იყოს წარმართული მთელი ჩვენი საქმიანობა.



კრემლის ყრილობათა სასახლე. შესვენება.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# დაუვიწყარი დღეები და წუთები



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან ნიკოლაძე

ვისაც თვითონ არ განუცდია, ის ძნელად წარმოიდგენს, რამდენად შეცვალა თავრიდის სასახლის მთელი გარემო, პეტროგრადის მთელი ვითარება ლენინის ჩამოსვლამ.

ეს განსხვავება და ყველაფერში ახალნაირობა დაიწყო უკვე წინა ღამიდანვე, როცა პეტროგრადის მუშები, ჯარისკაცები და მატროსები შეხვდნენ მატარებელს, რომლითაც ლენინი ჩამოდიოდა. ფინეთის სადგურთან, თვით სადგურის წინა მოედანზე მოზღვავებული ხალხის ისეთი ჭედვა იყო, რომ შენობამდე გზის გაკაფვა და შიგ შესვლა თანდათან შეუძლებელი ხდებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გამაბედნიერა ცნობამ, რომ მე და თამარიც შეტანილი ვიყავით ლენინის შესახვედრად სასახლიდან მიმავალთა სიაში. ჟენევის შემდეგ ის არ გვენახა და ახლა, ამ სულ ახალ გარემოში მოუთმენლად მოველოდით მის დანახვას, მისთვის ჩვეულ ფიცხელ დავას საკითხის გასაშუქებლად, ყველა საკითხის სულ ახალნაირად დაყენებას.

განსაკუთრებით მომერია მოუსვენრობა მას შემდეგ, რაც ორი დღით ადრე პლეხანოვიც ჩამოვიდა. მაშინ ირაკლი წერეთელი და სკობელევი მეპატიჟებოდნენ წავყოლოდი მათ ფინეთის სადგურზე მის შესახვედრად. ისიც არ გვენახა **1905** წლის ჟენევის შემდეგ. მაგრამ პლეხანოვი სულ სხვა ბუნების ადამიანი იყო და ჩემსავით პოლიტიკაში უვიც მოქალაქეებს „ადამიანებადაც არ სთვლიდა“, როგორც ლეო ნათაძე იტყოდა ხოლმე სიცილით ჯერ ისევ ჟენევაში ყოფნის დროს. არც კი შემოგვხედავდა, თუ სადმე შევხვდებოდით სხდომაზე. მაშ რატომ უნდა მივგებებოდი მას სადგურზე? ამიტომ მათ არ წავყევი.

მეორე დღეს კი, თათბირზე, ჟენევისაგან ესოდენ დიდად განსხვავებულ გარემოში, სულ ვადარებდი მას და ჟენეველ ლენინს, ვადარებდი მათს დამოკიდებულებას უბრალო ხალხის მიმართ. რაოდენ „სნობი“ იყო პლეხანოვი მასებთან შეხვედრისას და არა მარტო მასებთან: 2 აპრილი, როცა ის თათბირზე მოიყვანეს, აღდგომა დღე იყო და, მაშასადამე, კვირაც. ხალხით პირთამდე სავსე აუდიტორია ერთსულოვნად ემზადებოდა მისალმებოდა პლეხანოვს ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ. მით უმეტეს, რომ შვეიცარიიდან საფრანგეთ-ინგლისის გზით წამოსვლით მან ამ მრავალრიცხოვან თათბირსაც მოუსწრო.

მაგრამ პლეხანოვი სულ არ ჰგავდა შინ დაბრუნებულს. როგორც ჟენევაში არ იკარებდა „უბრალო ხალხს“ რუსეთის ემიგრაციიდან და პირველ რიგში, იქაურ და, საერთოდ, მეცნიერებთან მეგობრობდა, „პროფესორობდა“, დალმატ გალდავას მოსწრებული თქმით, ისევე აქაც, თათბირზე, რომელსაც მუშები და სოფლელი ჯარისკაცები ესწრებოდნენ, სადაც მათს ბედ-იღბალზე იყო საუბარი, ის მარტო კი არ გამოცხადდა, რათა უკეთ შერწყმოდა მთელი აუდიტორიის სულისკვეთებას, როგორც ყოველი სხვა შინ დაბრუნებული იქცეოდა, არამედ ტრიბუნაზე თან ამოიყვანა (ალბათ, ევროპიდანაც თან წამოყვანილი) ფრანგი და ინგლისელი „კოლეგები“ — სოციალისტები, როგორც პრეზიდიუმმა აცნობა აუდიტორიას, როცა პლეხანოვის დანახვით ატეხილი ტაშის გრიალი შეწყდა და ოვაციების ხმაური ცოტა შენელდა.

საფრანგეთის ხსენებაზე აუდიტორიაში, აქა-იქ „მარსელიეზა“ გაისმა და მთელ აუდიტორიას მოედო, რადგან იმ დღეს განწყობილება საზეიმო იყო. ამის გაგონებაზე პლეხანოვი იმწამსვე, წმინდა პარიზული გალანტობით, შუაში ჩაუდგა იმ ორ უცხოელს, მათ ორივე ხელი გაუწოდა და მერე შეერთებული ხელები მაღლა ატყორცნეს. და ასე მაღლა აწეული, მაგრად შეკრული ხელების განუწყვეტელი რხევით ისმინეს სამივემ ფრანგების ჰიმნი, წმინდა „ფრანგული“ მანერის მიხედვით. „სუმთლა გაფრანცუზებულაო ეს ჩვენი პლეხანოვი“, გადაულაპარაკა ამის გამო ჩხეიძემ ირაკლი წერეთელს. და ის მართლაც ასე გამოიყურებოდა იმ დღეს.

„მარსელიეზას“ ინტერნაციონალის შესრულება მოჰყვა. ის სამეული კი ასევე სიმბოლურად ხელებშეკრული და ხელებაწეული იდგა, საუკეთესოდ გამოწყობილი, ამ მრავალტანჯული, წმინდა პროლეტარული აუდიტორიის წინ...

რაოგორი კონტრასტული იყო, როგორ არ ჰგავდა ყოველივე ეს ლენინისებურ უბრალოებას!

მერე პლეხანოვმა თავის გამოსვლაში თვითონვე „სოციალიზმის ქრისტე“ უწოდა თავის თავს (!), თუმცა, მათს პარტიაში ამ სახელს მარქსს აკუთვნებდნენ. როცა ამის შემდეგ ირაკლი წერეთელი გამოვიდა და პლეხანოვის გამოსვლა დაახასიათა, როგორც «Слова нашего учителя», თვით წერეთელს ვიღაცამ იმ თათბირის მონაწილეთაგან „იოანე მოციქული“ უწოდა, მით უფრო, რომ გაზეთებში დაბეჭდილ პრეზიდიუმის ფოტოსურათზე ის და პლეხანოვი მართლა ისე ისხდნენ, როგორც ქრისტე და მის მხარზე მიყრდნობილი, ახალგაზრდა იოანე ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობაში“.

მაგრამ ისევ ლენინთან შეხვედრის აღწერას დავუბრუნდეთ. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ხალხის გულის ფეთქვა, მისი სულის ამოფრქვევა, რაღაც გრიგალისებური, რაც იმ ღამეს პირველად ვნახე. და ჩემთვის იმ ღამის მოზღვავებული ბედნიერების და რაღაც შეუცნობელი, ცაში ამტაცი სიხარულის წუთები ასეთი ძალით უკვე აღარ განმეორებულა. სამი აპრილის ღამე ჩემთვის დაუვიწყარია.

ჩვენ ადრე მივედით სკობელევის მანქანით და ყოფილი მთავრობის ოთახების გზით პირდაპირ ბაქანზე გავედით, სადაც სადგურის უფროსი უკვე მიუთითებდა ჩხეიძეს, სად სჯობდა ჩვენი დადგომა, მატარებლის ჩვენთვის საინტერესო ვაგონის უკეთ შესახვედრად. სადღაც დაგვაყენეს, მაგრამ ამ დროს მეორე მხრის კარიდან ჩვენსკენ წამოვიდა დარბაზიდან აშკარად ძალით გამოღწეული ხალხის ნიაღვარი: მეზღვაურები, აალებული ჩირაღდნებით, მუშები, ჯარისკაცები... იმ ტალღამ ჩვენი ჯგუფიც შთანთქა. ყველაფერი აირია, და ერთმანეთი დავკარგეთ; ამ დროს მატარებელიც გამოჩნდა, უკვე სულ ახლოს, და მოადგა ბაქანს. იმ ხალხის ტალღამ, თითქოს ერთარსებად ქცეულიყოს, რაღაც დაიძახა და უეცრად სადღაც მარცხნივ გაიქცა, მატარებლის წინა ნაწილისკენ. ჩვენც თან წაგვლეკა და პირდაპირ იმ ვაგონის კიბესთან მიგვტყორცნა (სხვა სიტყვა ვერ მიპოვნია), რომელზედაც უკვე გამოსული იყო ლენინი, ბაქანზე ჩამოსახტომად...

მის დანახვაზე უკვე ყველაფერი ამოძრავდა... ეს იყო ზეიმი, სიხარული, მღელვარება. იმ წუთებიდან ყველაფერი ისე წავიდა, რომ მე გადაბმულად გადმოცემა არ შემიძლია. ლენინი ხელში აიტაცეს და საითღაც წაიყვანეს. თურმე ისინი მოედნიდან შემოეგზავნა ხალხს — ლენინი პირდაპირ ჩვენთან გამოიყვანეთო და ახლა ამას ასრულებდნენ. ჩვენ უკან მივდევდით.

თურმე, მოედანზე მდგარი ჯავშნოსანისაკენ მივრბოდით, იქ მიჰყავდათ ლენინი კრონშტადტის მეზღვაურებს და ორ-სამ ჯარისკაცს. მე მათ უკან მივდევდი, რომ ლენინის ყოველი სიტყვა გამეგონა.

უცებ ლენინი ჯავშნოსანის კოშკზე აღმოჩნდა; ჩირაღდანი მისთვისაც მიეცათ ხელში, რათა ხალხს ის ამ შუაღამისას შორიდანაც დაენახა.

ეს ჩირაღდანი მან მაღლა ასწია და ისე მიესალმა სადგურისწინა მოედნის ცოცხალ ზღვას.

რა ატყდა ამის საპასუხოდ! რა აღტაცება, ათასნაირი შეძახილები, რა სიხარულის გრიგალი! კინაღამ დავყრუვდით.

ლენინმა თავისი ჩირაღდანი დაბლა მდგომთ გადააწოდა და განთავისუფლებული ხელი მაღლა ასწია ჰაერში: — მინდა გესაუბროთ, დაწყნარდითო!

რა სულგანაბული უსმენდა ყველა, როგორც კი ლენინმა თავისი მისალმების პირველი სიტყვებით მიმართა მის წინ გალაშლილ ცოცხალ სტიქიონს. აუწერელია ამ უეცრად დამყარებული, ჩამოწოლილი სიჩუმით წარმოქმნილი შთაბეჭდილება და შემდეგ ლენინის უკვდავი გამოსვლით ანთებული გულების გრიალი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მან ლასასრულ წამოიძახა: გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!..

მართლაც რომ უკვდავია, იმ ნახევარსაათის ყოველი წუთი, წამი, ყოველი სიტყვა!

ასე დაუბრუნდა ყოფილ მეფის რუსეთს ლენინი, რათა გადაექცია იგი მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

(გაგრძელება იქნება)

---

* გაგრძელება. იხ. „დროშა“, № 12, 1969 წ.

# ფართო ფანჯრები

მოთხრობა

მაჩვიბზე მიჯრით მიშენებულ ლალჩას[1] ქვეშ სარაყე ქვაბი ხრჩოლავდა. ქვაბთან ჯვალოს ძველმანებში გამოხვეული მოხუცი ფუსფუსებდა. ერთნახადმა ჯერ წვეთ-წვეთად დაიწყო დენა, შემდეგ წვეთები თანდათან მოხშირდა, ერთმანეთს გადაება, ჯაჭვის ფორმა მიიღო, ჯაჭვი კი ნელ-ნელა მომკვრივდა, უწყვეტ ნაკადად დაეწაფა ფოხალის[2] ბნელ ხახას და ფსკერზე სიამისმომგვრელად აწკარუნდა.

მოხუცმა ნათაველს სიკეთე ფერზე შეატყო, ღველფში ატკაცუნებული შეშები ცოტა უკან დასწია და წელში კმაყოფილად გაიმართა. ორიოდე წუთის შემდეგ მოხუცი ქვითკირის მაღალ ყორესთან იდგა. მან ჯერ შუბლზე მიდებულ ხელისგულქვეშ უკვე საკმაოდ ამაღლებულ მზეს გახედა, შემდეგ კი მოგუდული ხმით გასძახა მეზობელ ეზოსაკენ:

— ბექზა! ვო ბექზა!

— რა იყო, ისმაი? — შემოესმა მეზობელ ეზოდან და ცოტა ხნის შემდეგ იმავე ხმით: — რა ამბავია? უკვე აბოლე?

— ავაბოლე, ბექზა, გადმოდი, გავსინჯოთ!

ნათაველის სინჯმა ბერიკაცები საუბრის ხალისზე მოიყვანა.

— მომისმინე, სი მარეი,[3] შენ თუ იცი რას აშენებს ქალაქელი ოსტატი სეტში[4]?

— არა, არ მიკითხავს, ისმაი, რას უნდა აშენებდეს?

— ეს ახალგაზრდები ერთთავად იქ ტრიალებენ. იმ დღეს ამოვიარე, ვკითხე, რას აშენებთ-მეთქი. ამაზეო, მიმითითა სწორად მოკირწყლულ ქვითკირის სვეტზე, ძეგლი უნდა დავდგათ, ქვისაგან გამოჭრილი იქნებაო.

— უყურე შენ! ვისი ძეგლიო, კაცო?

— როცა დავამთავრებთ, მოდი აქ და შენი თვალით დაინახავო!

— ბაბა! მე ვიცი ვის ძეგლსაც დგამენ სეტში!— ჩაერია ბერიკაცების საუბარში ცამეტი წლის გუა.

— შენ რა იცი, ბალღო, ვინ გითხრა? — დაინტერესდნენ ბერიკაცები.

— ჩვენთან სკოლაში გუშინწინ კომკავშირის სამაზრო კომიტეტიდან იყო კაცი, ის მოგვიყვა, თუ ვინ იყო ლენინი და როცა ბავშვებმა კითხვები დააყარეს: რამხელა იყოო ტანად, როგორი ღონე ჰქონდაო, გვითხრა, სეტში დავდგამთ ქვისაგან გაკეთებულ ისეთივე კაცს, როგორიც ლენინი იყო და მაშინ თქვენ თვითონ ნახავთო.

— ჰოო, — უცებ გამოცოცხლდა ისმაი, — ვიცი, შვილო... აგერ ჩვენს ალფეზს ცოცხალიც უნახავს თავის თვალით. ფრონტიდან რომ ბრუნდებოდა, იმ დიდ ქალაქში გამოევლო... იქ ენახა...

— კიდევ რა თქვა იმ კაცმა, ვინ იყოო ლენინი?— ჩააცივდა ბავშვს ბექზა.

— მეფე ჩამოაგდოო, ხალხს თავისუფლება, სინათლე, მიწა და პური მისცაო, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უმუხთლა და წაიყვანაო. მისი საქმე კი ცოცხლობსო და არც თვითონააო ამიტომ მკვდარი. ჩვენი საქართველოც იმან გაანთავისუფლაო. აგერ წიგნშიც ასე წერია — ბიჭმა მოხუცებს წიგნი უჩვენა.

* * *

ქვენა ქარის მიერ ღამით თეთნულდის კალთებზე მიმწყვდეულ ნისლებს ივლისის მზემ თავზე მედიდურად გადაალაჯა და ენგურის ხეობას გაუცინა. სეტში უთენია უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ძეგლის სანახავად ახლომახლო სოფლებიდან მოხუცებულებიც კი მოსულიყვნენ. შუა მოედანზე აღმართულ მაღალ სვეტს რუხი ტილოს ქსოვილი ფარავდა და მის ქვეშ ჯერჯერობით არაფერი ჩანდა. ტილოგადაფარებული სვეტის გვერდით ფიცრებისაგან ამაღლებული ადგილი გაეკეთებიათ და მასზე ათიოდე კაცი იდგა. იმ კაცებში მაზრის ხელისუფლების მეთაურთა შორის ორიოდე გლეხიც ერია.

ბაბა ისმაი ხალხით გაჭედილი მოედნის კიდეში იდგა და ამაღლებულ ფიცარნაგიდან მოლაპარაკეს გულდასმით უსმენდა. ორატორი სვანურად ლაპარაკობდა და ბაბა ისმაი მის ნათქვამს კარგად იგებდა. ყოველი წინადადების დამთავრებისას მოხუცი თავის დაქნევით უდასტურებდა, გავიგე, რაც თქვიო, თითქოს მას, ბაბა ისმაის რომ ვერ გაეგო, ფიცარნაგზე მოლაპარაკე ლაპარაკს შეწყვეტდა.

ბაბა ისმაის განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო და ხალხში უფრო წინ წაიწია. ფიცარნაგზე მოლაპარაკე კი ამ დროს ამბობდა: „ლენინიზმი, ეს არის სვანეთში საავტომობილო გზის მშენებლობა; აგერ ხაიშს უკვე გამოსცდა ავტომობილი; ლენინიზმი, ეს არის მესტიაში აეროპლანის მოფრენა და ამ გზით ქალაქთან დაკავშირება; ლენინიზმი, ეს არის სვანეთის სოფლებში სკოლების გახსნა და ყველა სვანი ბავშვის სწავლება; ლენინიზმი, ეს არის ექიმები და ფერშლები სვანეთის სოფლებში; ლენინიზმი, ეს არის ელექტრონის შუქი სვანურ სახლებში, მაღაზიების გახსნა, რათა სვანმა ზუგდიდსა და ქუთაისიდან ზურგით არ ზიდოს მარილი, ნავთი, საპონი და სხვა, რათა სვანის ყანას ხისაგან გამოჩორკნილი კავის ნაცვლად ორსახნისა რკინის გუთანი ხნავდეს“.

ფიცარნაგზე მოლაპარაკემ სიტყვა დაამთავრა თუ არა, ორმა ყმაწვილმა სვეტს ტილოს საფარველი სწრაფად გადააძრო და მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი ლენინის ძეგლი დილის მზის სხივებზე ოქროსფრად აელვარდა. ბელადს მარჯვენა ხელი ზედ თეთნულდის წვერიდან მოცინარე მზისაკენ გაეშვირა და ქვაში დადუმებული გენია თითქოს ხალხს ეუბნებოდა: „სვანებო! სინათლის სიყვარულით თქვენმა წინაპრებმა უხსოვარ დროში შექმნეს მზის საგალობელი, სინათლე სწავლაა, ისწრაფეთ მისკენ. გამოდით მაჩუბებსა და კოშკებიდან, რომელთაც მეტად ვიწრო სარკმელები აქვთ და შიგ ბნელა. ომებმა, მტრობამ, სისხლისღვრამ, შეგყარათ თქვენ კოშკებში. ისწრაფეთ სინათლისაკენ; ფართო ფანჯრები გაუკეთეთ თქვენს ახალ ოდებს; გიყვარდეთ და გაუფრთხილდით თქვენს მთებსა და ტყეებს, დავიწყებას მიეცით მავნე ადათ-წესები; ისწრაფეთ მზისა და სინათლისაკენ“.

ძეგლმა ყველას თვალი ერთბაშად მიიტაცა. ფიცარნაგზე მდგარმა ადამიანებმა პირველებმა დაუკრეს ტაში. ხალხი მათ აჰყვა და სეტი ტაშის გრიალმა მოიცვა. ტაშის ხმაში დროდადრო გაისმოდა: „დიდაბ“! „დიდაბ“![5]

გიორგი ავალიანი



1 ლალჩა — ფარდული (სვანურად).
2 ფოხალი — მომცრო ზომის ჰური (სვ.).
3 სი მარეი — შე კაცო (სვ.).
4 სეტი — დაბა მესტიის ცენტრს ჰქვია.
5 დიდაბ — დიდება. (სვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა





გინახავს შენ ის წარმტაცი მხარე,
სადაც ლიმონი ყვავილობს მხრად,
სადაც დაქუფრულ მწვანე ფოთლებში
ელავს ნარინჯი ბაჯაღლოს დარად!

გ ო ე თ ე — „მინიონი".

საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე, რევოლუციამდე აქა-იქ თუ წააწყდებოდით ციტრუსოვან მცენარეებს. ისინი უმთავრესად თითო-ოროლა მოყვარული ადამიანის ხელით იყო გაშენებული და ამ საქმეს არავითარი სამრეწველო მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენს დროში საჭირო გახდა მწყობრი მეცნიერული სისტემის შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედებოდა მეციტრუსეობის მძლავრ განვითარებას.

საბჭოთა კავშირში მეციტრუსეობის აღმავლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, რომელიც 1930 წელს დაარსდა და რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ამ საქმის წინსვლას — ახალი აგროტექნიკის, ქიმიზაციის, მექანიზაციის საფუძველზე დახაზა ციტრუსოვანი პლანტაციების გაშენების ფართო პროგრამა.

ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ყველა კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმატებით წყვეტენ ციტრუსების მოსავლიანობის გადიდების, ყინვაგამძლე ჯიშების გახარების და წარმოებაში მექანიზაციის წარმატებით გამოყენების აქტუალურ საკითხებს.



▲ პლანტაციები ზამთრისათვის მზად არიან.

◀ ეს ყველაზე ბარაქიანი პლანტაციაა.

▼ ინსტიტუტის აგროქიმიის ლაბორატორიის თანამშრომლები.





სამეცნიერო საბჭოს სხდომა.



ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილების მეცნიერი-მუშაკი თემურ თარბა, აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე და ჩაქვის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი გრიგოლ ტიკარაძე

ფოტო ი. თურქიასი.

# ბაჭაღლოს დაზაჲ

აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე და აგრონომი ელენე კაკაბაძე.



მანდარინის დახარისხება.



# შენახვამდე

ვასილ ბოლშაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ უზბეკეთში მომხდარი ამბავი მინდა გავიხსენო.

ამ მოძმე რესპუბლიკაში უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მიმდინარეობდა. ქ. ანდიჟანში საზაფხულო თეატრის სცენაზე ისხდნენ უკრაინელი სტუმრები: მსახიობები, მწერლები და მხატვრები. დარბაზში ათასზე მეტი კაცი იყო. სცენაზე გამოსული უზბეკები თბილად მიესალმებოდნენ დნეპრისპირეთიდან ჩამოსულ მეგობრებს; ტრიბუნაზე ავიდა კიდევ ერთი ორატორი, შუახნის უზბეკი, ბამბის საწმენდი ქარხნის დირექტორის მოადგილე, მხნე და ენერგიული. კაცი. მკერდზე გმირის ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა.

— რომ იცოდეთ, ძვირფასო სტუმრებო, რაოდენ ამაღელვებელია ჩემთვის თქვენი სიტყვები და სიმღერები! მათ მე ჩემს სიჭაბუკეში გადამისროლეს. მახსოვს მდინარე დესნა, ორმოცდასამი წელი. მე მზვერავთა ასეულს ვმეთაურობდი. არ ვიცი, მეგობრებო, ვიდგებოდი თუ არა დღეს ამ ტრიბუნაზე, უკრაინელ პარტიზანებს რომ არ ეშველათ ჩემთვის!

პრეზიდიუმის მაგიდასთან შავთმიანი კაცი წამოდგა. მკერდზე მასაც გმირის ვარსკვლავი ეკეთა. ტრიბუნისკენ გადადგა ნაბიჯი.

— აბდულაზიზ, შენა ხარ?

ორატორი გაოცებით მიტრიალდა სტუმრისკენ.

— ზბანაცკი? — წამოიძახა მან, — გრიცკო ზბანაცკი?

უკრაინელი მწერალი და უზბეკი მებამბე ერთმანეთს გადაეხვიენ. ისინი სიხარულისგან ტიროდნენ და არ რცხვენოდათ თავიანთი მამაკაცური ცრემლის.

ფეხზე ამდგარი დარბაზი წამით მოჯადოებულივით გაირინდა. მერე კი იქუხა ტაშმა. მაყურებლებში ბევრს ცრემლი მოერია თვალებზე.

შემდეგ აბდულაზიზ იულდაშევი სამარყანდში წამოგვყვა, მერე კიევსაც ეწვია და საპირველმაისო ტრიბუნიდან მიესალმა თავის ძმადნაფიცებს — კიეველ მანქანათმშენებლებს, სტუდენტებს, სპორტსმენებს, ომის ვეტერანებს.

და წამდაუწუმ მიმართავდა თავის ფრონტელ ამხანაგს.

— გრიცკო, გახსოვს?..

მათ ბევრი რამ ჰქონდათ მოსაგონარი, ორ მეომარს, ორ ძმადნაფიცს.

* * *

ზბანაცკი შენაერთს მეთაურობდა. ცოლი და ორი შვილი შორეული ანდიჟანის ყიშლაყში იმყოფებოდნენ. იქ მოულოდნელად გარდაიცვალა მეომრის მეუღლე.

ბავშვები ერთმა აქსაკალმა შეიხიზნა და ომის დამთავრებამდე ზრდიდა მათ.

როგორც კი ფეხი დავადგით ანდიჟანის მიწას, ზბანაცკიმ მითხრა:

— აქ გაიზარდნენ ჩემი შვილები, ამ მიწაში წევს მათი დედა... ხომ გესმის, ვასილ, რასაც ნიშნავს ჩემთვის ეს ქვეყანა?

მისი მღელვარება მეც გადმომედო.

ზბანაცკიმ სთხოვა ჩვენი საღეკადო ბრიგადის ხელმძღვანელს, ახალგაზრდა პროფესორ აზიზ კაიუმოვს:

— მინდა მოვძებნო ცოლის საფლავი, მინდა მადლობა გადავუხადო აქსაკალს ბავშვებზე ზრუნვისათვის.



— ძალიან კარგი, საღამოთი წავიდეთ, როცა დეკადის ყველა მონაწილე დაისვენებს. იქამდე რამდენიმე ათეული კილომეტრია.

წავიდნენ. ჯერ სასაფლაოს ეწვივნენ. იპოვნეს საფლავი. იგი ფაქიზად იყო მოვლილი. ამას კი არ შეიძლებოდა არ აეღელვებინა უკრაინელი სტუმარი. დიდხანს და მდუმარედ იჯდა იგი ძვირფას საფლავთან.

— ხომ არ წავიდეთ აქსაკალებთან? — ფრთხილად ჰკითხა კაიუმოვმა, — ისინი უკვე შეგროვდნენ.

ფეხაკრეფით, თითქოს ეშინიათ მიცვალებულებს მარადიული ძილი არ დაუფრთხონო, გამოვიდნენ ისინი სასაფლაოდან. აზიზ კაიუმოვმა ასე მიმართა აქსაკალებს:

— ეს ამხანაგი ცნობილი უკრაინელი მწერალია, იგი პარტიზანული რაზმის ყოფილი მეთაური და საბჭოთა კავშირის გმირია. თქვენს ყიშლაყში იზრდებოდნენ მისი პატარა შვილები. აქ მოკვდა მისი ცოლი. გაიხსენეთ, აქსაკალებო, ვინ შეიფარა მისი ობოლი ბავშვები!

უკრაინელი სტუმარი თავდახრილი მიესალმა მოხუცებს. მოხუცმა უზბეკებმაც თავი დაუკრეს სტუმარს. ბაღში, წყაროსთან, წამით მდუმარება ჩამოდგა, მერე ყველა ერთად ალაპარაკდა.

მოხუცები იხსენებდნენ უკრაინელ ბავშვებსა და მათ დედებს. ისინი ხომ ბევრნი იყვნენ.

ბოლოს ყველაზე მოხუცმა აქსაკალმა ზბანაცკის უთხრა:

— გვაპატიე, კეთილო კაცო, რომ ვერ გავიხსენეთ შენი ბავშვების აღმზრდელი. ომის დროს ყიშლაყის თითქმის ყოველ ქოხში იყვნენ უკრაინელი ბავშვები. სალამი გადაეცი შენს ბიჭებს, უთხარი: უზბეკები მათ სტუმრად იწვევენ. როცა მოვლენ, თვითონ იცნობენ იმ ადგილს, სადაც ცხოვრობდნენ და ვინც მათ უვლიდა. ჭაბუკს უფრო კარგი მეხსიერება აქვს, ვიდრე მოხუცს.

და თავი დაუკრა აქსაკალთა შორის აქსაკალმა, მკერდზე მიიდო აგურისფერი, დაძარღვული ხელი. და მერე ყველამ დაუკრა თავი უკრაინელ სტუმარს.

ამ შეხვედრით აფორიაქებული დაბრუნდა ანდიჟანის სასტუმროში უკრაინელი სტუმარი. დილამდე აღარ მიეკარა მის თვალებს რული. გათენებისას კი სასტუმრო შეაჩოჩქოლა მჭექარე ხმამ.

— გამახსენდა! გამახსენდა შენი ბავშვები! სად ხარ, კეთილო კაცო?

ზბანაცკი დერეფანში გამოვარდა. დიდხანს იდგნენ ისინი მდუმარედ, ერთმანეთს გადახვეულნი. აქსაკალმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი, მერე უთხრა:

— ბიჭები ახლა ალბათ ნამდვილი ჯიგიტები არიან.

— აგრეა, მოხუცო, წამოდი ჩემთან, ინახულე!

— გმადლობთ, კეთილო კაცო, გმადლობთ. შორს არის შენი უკრაინა?

— სულ რაღაც ხუთი ათასი კილომეტრი იქნება.

— რამდენი თვე დაგჭირდება, სახედარით რომ იარო?

— რატომ სახედარით, თვითმფრინავით შეიძლება, უკიდურეს შემთხვევაში მატარებლითაც.

— არ მიმგზავრია მატარებლით, არც თვითმფრინავით მიფრენია... მაგრამ ახლა კი ვცდი. გავბედავ, იქნებ წამოვიდე... ალაჰის შემწეობით...

— აუცილებლად, ალაჰის შემწეობით, — გაიმეორა ზბანაცკიმ, — თანაც ცოტა აეროფლოტიც თუ დაგვეხმარა!

— ჩოხ რახმატ, — თქვა მოხუცმა, — სიტყვა „აეროფლოტს“ მან ყურადღებაც არ მიაქცია.

ალაჰი ყველაზე დამაჯერებელი საბუთია აქსაკალისათვის.

* * *

მეორე ამბავი კი ჩონგარზე მოვისმინე, სივაშის ახლოს. მიამბო იგი უკრაინული კოლმეურნეობის „საქართველოს“ თავმჯდომარემ გრიგოლ ანდრიასძე ლეგუნოვმა.

— სასიამოვნოა, კოლმეურნეობა უკრაინულია და „საქართველო“ ჰქვია, — ვთქვი მე.

— და განა ნაკლებად სასიამოვნოა, რომ საქართველოშიც არის კოლმეურნეობა „უკრაინა“?

მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა — ლაპარაკია გენიჩესკისა და მახარაძის ცნობილ რაიონებზე, რომლებმაც ამას წინათ ზეიმით აღნიშნეს სოციალისტური შეჯიბრების ოცდაათი წლისთავი. გაცვალეს დელეგაციები.

მაგრამ ზეიმები იშვიათად ეწყობა. ადამიანი უმთავრესად ჩვეულებრივად ცხოვრობს, შრომობს. ზოგჯერ მას მწუხარებაც ეწვევა ხოლმე. ყველასათვის დიდი უბედურება იყო ომი. ჰიტლერელებმა, მთელს უკრაინასთან ერთად, ჩონგარიც დაიპყრეს. ბევრმა აქაურმა მხვნელ-მთესველმა ცელის მაგიერ ავტომატები აიღო ხელში. მამაცურად იბრძოდა გენიჩესკელი კოლმეურნე სოფელ რივნედან ვასილ ლავრენტიევიც.

მერე ისე მოხდა, ფაშისტებმა ვასილი მძიმედ დაჭრეს; ჰოსპიტალში ჰკითხეს:

— გყავს სადმე ნათესავები?

ვასილს თვალები მოენისლა, სადაც ნათესავები ეგულებოდა, იქ ახლა ფაშისტები თარეშობდნენ. უცებ ქართველი ძმადნაფიცები გაახსენდა და ცოტა არ იყოს ყოყმანით თქვა:

— ქართულ კოლმეურნეობა „შრომაში“... მყავს ნათესავები.

[illegible] და გაგზავნეს ვასილი ჰოსპიტლიდან საქართველოში, და ისიც, ყავარჯნებზე შემდგარი, რის ვაივაგლახით ჩავიდა მახარაძის რაიონში. სოფლის მოედანზე შეიკრიბნენ მოხუცები, ქალები, ბავშვები. ერთმა მაღალმა, გამხდარმა ქართველმა, რომელსაც მოკლედ ჰქონდა ჭაღარა თმა შეკრეჭილი, გადაჭრით გამოაცხადა:

— ვასილი ჩემთან წამოვა.

მას მეორე მოხუცმა შეუტია:

— რატომ შენთან და არა ჩემთან?

## სამათ შაქირი

თათარი პოეტი

### მელიტონ ქანთარიას

შენი გმირობით, ვაჟკაცობით, თავისგანწირვით
მტერმაც გაიგო, მოყვარემაც შენი სახელი,
შენ იქ იდექი, სადაც უნდა იდგეს არწივი,
სადაც არასდროს შეიძლება უკან დახევა.

...ცხოვრობდი სოფლად, გაბრუებდა მთათა
სურნელი,
არცა ფიქრობდი, ჩამოჰკრავდა ჟამი მრისხანე,
და შენ, ჭაბუკი, მშობელ ქვეყნის ნება-სურვილით
მტერთან საომრად თოფ-იარაღს ტანთ აისხამდი.

ლაშქრად წახვედი, თან მიგდევდა დალოცვა დედის,
დედასამშობლო მხარში გედგა ბრძოლაში მხედარს,
და დადგა ის დრო: მშვიდობის და მამულის ბედი
შენს ბედად იქცა, ქანთარიავ, საკუთარ ბედად!

სულ ახალგაზრდა, ვით მაისში სიმწვანე მთათა,
წახველ, გაგრუჯა უცებ ომის პაპანაქებამ,
წუთით არ გქონდა მოსვენება — სიკვდილს და
ზამთარს
რომ არ დასცლოდა ჩვენს მიწაზე დაბანაკება.

ასე იარე ბერლინამდე. რაიხსტაგიდან
ცაში აიჭრა ჩვენი დროშა, შენ რომ აღმართე.
ქუდი მოიძრე.
მოიწმინდე ოფლი სახიდან.
არწივის თვალით გადახედე განვლილ აღმართებს.
ძმაო, ძვირფასო, შენც მიყვარხარ, შენი
ქართულიც,
ახლაც ჩამესმის არწივული შენი ძახილი,
ფრიალებს დროშა, ცის ლაჟვარდში რომ
აღმართულა,
და მთელ ქვეყანას მოჰფენია გმირთა სახელი.



საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია და მისი სტუმარი თათარი პოეტი სამათ შაქირი.

### იაპონელი ქალიშვილი კითხულობს ჯალილს

ჩვენს წინ ამაღლდნენ ლენინის მთები,
უნივერსიტეტი მიგველის სტუმრებს,
ცას შეახალა სიმღერამ ფრთები, —
რა შუქიანი ფრთები აქვს თურმე.

ის, ფესტივალის სტუმარი, რუსულ
სიმღერას თავის ენაზე მღერის,
ვარდის სუნთქვას თუ ქარიშხლის ზუზუნს
ვუსმენ და
შევცქერ უცნაურ ღელვით.
ჰოი, როგორ ჰგავს თათარ ქალიშვილს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემნიშნა,
შეკრთა,
შეაშრა სიტყვა.
მერე წამწამებს — შუბებს ალესილს —
დაბლა დახრის და ჩურჩულით მკითხავს.
— აქ სწავლობდა მუსა ჯალილი?
— დიახ!
და სითბო ჩამოდგა ირგვლივ,
წამოდგა, დაბლა დადო ყვავილი
და ამოიღო ჩანთიდან წიგნი.

გაშალა, დასცქერს იეროგლიფებს
ქალწული თვალებალამპრებული,
ვდუმთ და დუმილი, ვით მინა მყიფე,
ტრთის დასამსხვრევად გამზადებული.

ჯერ თითქოს წვიმა მოვიდა წვრილი,
ქარიშხლის წინ რომ იცის, ისეთი,
სტუმრის ენაზეც სიტყვა: ჯალილი
აენთო შუქით მოგიზგიზეთი.

მერე თითქოს ზღვამ დაიწყო ღელვა,
თუ ამოხეთქა მიწიდან ლავამ —
— იუძინ*! — გაკრთა თვალმომჭრელ ელვად,
— იუძინ! — მოსკდა ცეცხლოვან ზვავად.

მისი ხმა მძლავრი, ჩამწვდომი სულში,
ჰკვეთდა სივრცეს და დროს ხანჯალივით,
თითქოს ხალხის წინ, ტოკიოს გულში,
ლექსს კითხულობდა თვითონ ჯალილი.

---

* იუძინ — იაპონურად ნიშნავს „მეგობარს". ასეთი სათაური აქვს მუსა ჯალილის ერთ-ერთ ლექსს.

თარგმნა Თ. ᲯᲐᲜᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

— მართლაც და რატომ? — თქვა მესამემ. — შენ რა, სხვებზე უკეთესი ხარ?

ვინ იცის, როდის დამთავრდებოდა მათი კამათი, კიდევ ერთი ქალი რომ არ ჩარეულიყო ლაპარაკში.

— ჩონგარელ ვასილს ჩვენ ყველა ერთად მოვუვლით.

გაოცდნენ მოხუცები — ამდენი იკამათეს და ქალმა კი ასე უბრალოდ გადაწყვიტა საქმე.

სწორედ ამ ქართველ ქალებს მოჰქონდათ ვასილთან განსაცვიფრებელი კერძები: გემრიელი მაწონი და ცხელი ხაჭაპურები, სულგუნი, თონის პურები, ჩურჩხელა და განუმეორებელი ქართული ღვინო.

მაგრამ ყველაზე მთავარი თბილი და კეთილი გული იყო.

როცა სასიხარულო ცნობამ მოაღწია სოფლამდე — ჩონგარი განთავისუფლებულიაო, მოხუცი და ახალგაზრდა კაცები ცხენებით გაეშურნენ მთებისაკენ. ვასილიც შესვეს ქურანა ცხენზე, და ვასილის სამშობლოს განთავისუფლების აღსანიშნავად ზედიზედ დაიქუხა მთებში სალუტმა. „შრომაში" კი მათ ელოდა გაშლილი სუფრები, და მღეროდნენ „სულიკოს" და „რაზპრიაგაიტე, ხლოპცი, კონეი" და სვამდნენ შესანიშნავ ღვინოს „ხვანჭკარას" და ულოცავდნენ ვასილს.

წამოდგა ყანწით ხელში ვასილი და უცებ ჩამომდგარ სიჩუმეში ერთი ამოსუნთქვით აღმოთქვა ერთადერთი სიტყვა, რომელსაც ისე დიდი შინაარსი აქვს, რომ ვეებერთელა წიგნშიც ვერ ჩაეტევა. ვასილმა თქვა:

— გენაცვალეთ...

დიადი სიტყვაა „გენაცვალე". იგი ნიშნავს სიკეთეს, ალერსს, სიცოცხლეს, გულის შუქსა და სითბოს. იგი ნიშნავს კიდევ: „ჩემო მეგობარო, მე შენ მიყვარხარ, მე მზად ვარ შეგცვალო შენს ჭირში, შენს უბედურებაში, მზად ვარ ავად გავხდე შენი ავადმყოფობით, ოღონდ შენ იყო ჯანმრთელი, მე მზად ვარ მოვკვდე შენი გულისთვის!.."

აი, რა არის, მეგობრებო, „გენაცვალე"...

...რა იცოდა მაშინ ვასილმა, რომ გაივლიდა წლები და ჩონგარელი მოწაფეები იპოვნიდნენ ქართველი ხალხის შვილის ნიკო ქარახაძის საფლავს, მოძებნიდნენ ნიკოს მშობლებს და მიიწვევდნენ მათ ჩონგარში შვილის საფლავის სანახავად, რომ ჩამოვიდოდნენ ნიკოს დედ-მამა ჩონგარში, რომლის განთავისუფლებისთვისაც თავი დადო მათმა საყვარელმა ბიჭმა, რომ მათ აქ შეხვდებოდნენ როგორც ღვიძლ ნათესავებს.

აბა, რა იცოდა მაშინ ვასილმა, რომ ნიკოს დედმამა და დაიკო ჩამოუტანდნენ უკრაინელ ძმადნაფიცებს მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილ ქართულ ხალხურ სიმღერებს, რომლებიც ასე უყვარდა ნიკოს, რომ კოლმეურნეობის თვითმოქმედი ანსამბლი ჩინებულად შეისწავლიდა ამ სიმღერებს და მათი შესრულების წინ ქართველი მეომრის დედ-მამის თანდასწრებით აღელვებული ქალიშვილი — კონფერანსიე განაცხადებდა:

— უკრაინული კოლმეურნეობის „საქართველოს" კულტურის სასახლის გუნდი შეასრულებს ნიკო ქარახაძის საყვარელ სიმღერებს!

დიახ, მეგობრებო, დიადი რამ არის ეს სიტყვა — გენაცვალე!

დიახ, მეგობრებო, ხალხთა ძმობა და ურთიერთსიყვარული ყოველგვარ სიმდიდრეზე ძვირფასია.

### „დიდოსტატის მარჯვენა" გერმანულ ენაზე

ბერლინის გამომცემლობა „კულტურ უნდ ფორტშრიტმა" გამოსცა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა". წიგნი გერმანულ ენაზე თარგმნა გერმანელმა ენათმეცნიერმა, ქართველოლოგმა გერტრუდ პეჩმა. წიგნის რედაქტორია მარლენე მილაკი. სუპერისა და ყდის მხატვრობა ეკუთვნის ებერჰარდ ნოიმანს. წიგნს დართული აქვს თარგმანში დატოვებული ქართული სიტყვების ახსნა და ალფრედ კურელას ბოლოსიტყვაობა.

ამ ბოლოსიტყვაობაში ცნობილი გერმანელი მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს დიდი ქართველი რომანისტის შემოქმედებას, კერძოდ „დიდოსტატის მარჯვენას". აქვე კურელა გერმანელ მკითხველს მოუთხრობს კონსტანტინე გამსახურდიას განსწავლის წლებზე, მისი ცხოვრების ადრინდელ პერიოდზე, როცა ახალგაზრდა ქართველი მწერალი პირველად ესტუმრა გერმანიას და იქაურ უნივერსიტეტში დაიწყო მეცადინეობა. ალ. კურელა არაერთხელ ყოფილა ჩვენში, კარგად იცნობს საქართველოს, მის ისტორიას, მის კულტურას. ამიტომ იგი დამაჯერებლად და საქმის ღრმა ცოდნით მოუთხრობს მკითხველს როგორც საქართველოს ისტორიაზე, ისე ჩვენი სახელოვანი მწერლის შემოქმედებაზე.

ვუძღვნი უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული ჩემი ბასკი, ფრანგი და ესპანელი ძმების ხსოვნას.

ა ვ ტ ო რ ი.

# ჩემი მეგობარი ბასკი ჩამენდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გეგელია

სან-სებასტიანოდან გადმოხვეწილი ბასკი ქრისტინო რევერა ჩემი კარგი მეგობარი იყო. ბორდოს უნივერსიტეტში გადავეყარეთ ერთმანეთს.

ქრისტინოს ბევრი სმენოდა საქართველოზე, ბევრი წაეკითხა, იცნობდა ყველა ბასკ სწავლულს, ვისაც არ სჯერა თავისი ეროვნული ობლობა და ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ხალხებით აჭრელებულ თაიგულში ეძებს ნათესავებს, ფიქრობს, რომ ქართული ენა და ქართველობა იმავე ფესვიდან მოდიან, საიდანაც ბასკები.

ცოდვა აღიარებული სჯობია, მე მხოლოდ ცოტა რამ მსმენოდა ჩვენი ენათმეცნიერების აზრისა ქართული და ბასკური ენების ნათესაობაზე. ბასკს ეს აკვირვებდა, მე კი ვწითლდებოდი.

და აი ნათესაობის მაძიებელი ერების ორი შვილი ახლო მეგობრობამ დაგვაკავშირა.

ქრისტინო რევერამ კიდევ უფრო შეიყვარა საქართველო და მეც მეტად შემაყვარა თავისი ბასკეთი.

გავიდა ერთი წელი, მე პარიზში დავბრუნდი, ის ბორდოში დარჩა. წერილებიღა იყო ჩვენი მეგობრობის შუამავალი.

წლები წლებს მიჰყვა, დაემხო ესპანეთის მონარქია. თავისუფლების ნიავმა მიუალერსა ბასკეთსაც. სამშობლოს დაუბრუნდა ქრისტინო. აღფრთოვანებულ წერილებს მწერდა, მეპატიჟებოდა.

კვლავ მოიღრუბლა ესპანეთის ცა... შინაური მტრები, ყავისფერქურქიანი ნადირები მიუნხენიდან, შავტყავიანი რომაელი მხეცები, მთელი მსოფლიოს ნაძირალათა ხროვა შეესია მის მინდორ-ველებს და რესპუბლიკა დაემხო. ქრისტინო ისევ საფრანგეთშია, ისევ ლტოლვილია.

1939 წელი. სექტემბერი. ომი. მობილიზაცია. და აი ბედის საოცრება, ერთ ათასეულში შევიყარეთ ბასკი და ქართველი.

რვა თვე „უცნაური ომი“ და მხოლოდ რვა თვის შემდეგ „მიუნხენის თავადმა“ თავისი ურდოები შეუსია საფრანგეთს. ჩვენი ათასეული ბელგიის მისადგომებთან შეხვდა მტერს. ვიომეთ... ეს ომი მემატიანეს შეუძლია რამდენიმე სიტყვით დაახასიათოს:

— ეროვნული ღალატი მმართველი წრეების მხრივ, საკუთარი ხალხისადმი უნდობლობა და სამარცხვინო კაპიტულაცია.

ჩვენი ნაწილი კოსადის ბანაკშია. არავინ იცის, თუ რა მოგველის.

სად არის ქრისტინო?! იონის ნაპირას დაჭრეს და მერე მისი არაფერი ვიცი.

ერთ დღეს ბანაკის ეზოში ჭარმაგ პოლკოვნიკ ომუატს შევხვდი. ყველას გატაცებით გვიყვარდა „ბებერი მეკობრე“, როგორც ჩუმად ვეძახდით ხოლმე. მან ეს იცოდა და მეტსახელიც მოსწონდა. წინათ მხიარული, დაუდეგარი კაცი სულ შეიცვალა, ჩამოდნა და მის გამხდარ სახეს მხიარულება ჩამოეცალა.

არასდროს დამავიწყდება დღე, როდესაც წინა ხაზიდან კოსადის ბანაკში მივედით და საფრანგეთის „ახალმა ხელისუფლებმა“ ფრანგ ჯარისკაცებს იარაღის დაყრა მოგვთხოვეს, ყველამ ომუატს შეხედა.

„რესპუბლიკური გვარდიის“ პოლკოვნიკი ომუატს მიუბრუნდა:

— პოლკოვნიკო ომუატ, უბრძანეთ იარაღი დაყარონ. ასეთია ვიშის მთავრობის ბრძანება. თქვენ, როგორც უფროს ოფიცერს, ნება გაქვთ იარაღი დაიტოვოთ.

„ბებერი მეკობრე“ გვარდიელს დააცქერდა ერთხანს, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

— დაყარეთ იარაღი!

ყოყმანი რომ შეგვატყო, ცივად გაიმეორა:

— დაყარე იარაღი!

ყრუდ გაისმა მიწაზე დანარცხებული ავტომატების, თოფების და ტყვიამფრქვევების ხმა... სიჩუმე.

— ბატონო, — მიმართა ომუატმა გვარდიის ოფიცერს, ისე როგორც ფრანგი მხედრები სამოქალაქო პირებს მიმართავენ ხოლმე, — ეს ახალგაზრდები საფრანგეთისათვის სიკვდილს ებრძოდნენ, სამი ათას ასი კაციდან მხოლოდ ას სამოცდარვა დავბრუნდით... თქვენ და თქვენი მთავრობა კი მათ იარაღის აყრით აჯილდოებთ. მე მათი სარდალი ვარ და მსურს ბოლომდე გავიზიარო მათი ბედი.

ესა თქვა, ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო და ზიზღით დააგდო ჩვენს მიერ დაყრილ საჭურველზე.

მთავრობის სამსახურს შეჩვეული გვარდიელი აილეწა. თავი ჩაჰკიდა.

— პოლკოვნიკო ომუატ, მე მთავრობის ბრძანებას ვასრულებ...

— ეჰ, არ ვიცი, ბატონო, ბრძანების შესრულება როდის არის მოვალეობა და როდის... ღალატი, — ცივად მიუგო სარდალმა და გაეცალა.

იმას მოგახსენებდით, ერთ დღეს ბანაკის ეზოში „ბებერ მეკობრეს“ შევხვდი-მეთქი.

— სერჟანტო, მაიორ კოლესთან გამოცხადდი, რაღაც უნდა დაგავალოთ.

— მესმის, ჩემო პოლკოვნიკო! — მივბრუნდი, ბანაკის სასარდლო პოსტისაკენ გავემართე და მაიორ კოლესთან გამოვცხადდი.

— თქვენ ინიშნებით სამდივნოს უფროსად, — მითხრა მაიორმა, — სამხედრო წიგნაკები თქვენი უშუალო თვალყურის საგანი იქნება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეუვსებელ წიგნაკებს: ერთიც რომ დაიკარგოს, სამხედრო ტრიბუნალი არ აგცდებათ. სანამდე თქვენს ხელქვეითებს გაგაცნობდეთ, წადით თქვენს ალაჩოყში და თქვენი ხარახურა მოიტანეთ, აი თქვენი კუთხე. ღამითაც აქ დაიძინებთ. ეს დიდი მაგიდა თქვენია, რადგან ყველაზე დიდი შრომა თქვენ დაგაწვებათ.

დღის პირველი ნაწილი ხელქვეითების და მათი საქმიანობის გაცნობას მოვანდომე, მერე წიგნაკები გადავთვალე და ხელწერილით ჩავიბარე. ნასადილევს ჩემს „დიდ მაგიდას“ მივუჯექი და მოვალეობის შესრულებას შევუდექი.

— სმენა! — გაისმა მაიორ კოლეს ბრძანება.

შემოვიდა პოლკოვნიკი ომუატი.

— თავისუფლად! — წარმოსთქვა მან, თავის პატარა მაგიდას მიუჯდა და ფოსტის სინჯვა დაიწყო.

მერე სამი ფურცელი გადმომცა.

— გაეცანი და სათანადო მითითებები მიეცი მდივნებს.

ფურცლები გამოვართვი. პირველი დემობილიზაციის ბრძანება იყო, მეორე — მითითება, თუ პირველ რიგში ვინ უნდა ყოფილიყო დემობილიზებული (მეშახტეები, ტრანსპორტის და ელექტროფიკაციის სპეციალისტები და სხვა). მესამე კი... — ხელები ამიკანკალდა, თვალებს არ ვუჯერებდი. ნუთუ... ყველა ესპანელი რესპუბლიკელი, ვინც საფრანგეთის ჯარს შეაფარა თავი, უნდა გადაეცეს ჟანდარმერიას და გადაყვანილ იქნას სენ-სიპრიანეს საკონცენტრაციო ბანაკში.

„საფრანგეთის ჯარს შეაფარა თავი“, როგორ? ვინც ენის ნაპირზე, სუასონში ან იონზე დაიღუპნენ, მათ სადღა შეაფარეს თავი?

— არ მოგწონს, სერჟანტო?

გონს მოვედი. დაჟინებით მომჩერებოდნენ „ბებერი მეკობრის“ ნაცრისფერი თვალები. ერთხანს მიცქირა, მერე თავი დახარა და ყრუ ხმით მიბრძანა:

— ესპანელი რესპუბლიკელების სია შეადგინე. ისე, რომ არავინ გაიგოს.

— მკვდრებისაც, ჩემო პოლკოვნიკო?

ათას ჭირგადახდილ მხედარს სახე აელეწა. მიყურა, მიყურა და:

— მკვდრების ბანაკი ჩვენი გულია. ვიშის მხოლოდ ცოცხლები აინტერესებს. ცოცხლების სიას შეადგენ.

ჩავკიდე თავი. მეწყინა, რადგან მივხვდი, რომ კაცურ კაცს გული ვატკინე.

ღამე არ მძინებია. სად არის ქრისტინო? ისიც ხომ ესპანელი რესპუბლიკელია; იქნებ სენ-სიპრიანეს ბანაკშია უკვე. რით შემიძლია ესპანელ მეგობრებს ვუშველო? ოცამდე კაცი დარჩა ცოცხალი.

დილით ადრე ავდექი, პირი დავიბანე, ჩავიცვი და ეზოში გავედი. მალე მოვნახე, ვისაც ვეძებდი... ესპანელი როდრიგესი.

— რიკარდო, ცუდი ამბავია, გუშინ ბრძანება მოვიდა.

— ვიცი, ამიგო, ვიცი! სენ-სიპრიანეს ბანაკში უნდა გაგვგზავნონ, ფრანგმა ამხანაგებმა უკვე გვამცნეს, რაღაცას გვიპირებენ და ჩვენც ვუცდით. შენ სამდივნოს უფროსად დაუნიშნიხართ, შეიძლება დაგვჭირდე და მოგმართავთ, ისე კი ჩვენთან ნუ მოხვალ. ასე აჯობებს, თუ რამე მოხდა, შენზე ეჭვს ვეღარ მიიტანენ. — ხელი ჩამომართვა. გადამკოცნა და წავიდა. ალაჩოყში მივბრუნდი, ათასეულიდან ცოცხლად დარჩენილთა სია მოვითხოვე. ამოვწერე ესპანელი რესპუბლიკელების გვარები და სახელები და ბრძანების შესაბამისად სპეციალური სია შევადგინე.

— სამხედრო წიგნაკებიც დაურთე, — მიბრძანა შემოსულმა კოლემ. მალე პოლკოვნიკიც მოვიდა და დილის ფოსტა მოითხოვა.

ჩუმად მუშაობდა მაიორი, პოლკოვნიკი ფოსტას კითხულობდა; მე კი ესპანელების სამხედრო წიგნაკები გადავარჩიე და სიასთან ერთად ომუატს მაგიდაზე დავუდე.

— ეს რა არის?

— ესპანელების სამხედრო წიგნაკები და სია, ჩემო პოლკოვნიკო!

— კეთილი.

ფურცვლა დაუწყო წიგნაკებს, ვერ გეტყვით, კითხულობდა თუ არა. უცებ ალაჩოყის კარი გაიღო და... ქრისტინო გამოჩნდა.

ფერმილეული, ამაყი ბასკი მხედრულ სალამს აძლევდა „ბებერ მეკობრეს“. კაპიტულაციის შემდეგ პირველად დავინახე მოხუცის სათნო ღიმილი და ეს ღიმილი თბილი იყო.

მერე პოლკოვნიკი მე მომიბრუნდა:

— სერჟანტო, ამ სიას ერთი კაცი აკლია. შენი მეგობარი. კეთილი ინებე და დაუმატე.

სია გამოვართვი, ქრისტინო რევერა დავუმატე და დავუბრუნე.

— წიგნაკი?

მეგობრის წიგნაკი კარადაში მოვძებნე და გადავეცი.

გულმოდგინედ ჩაათვალიერა ფრანგმა ბასკმა

გოგი თოთიბაძე



ახალ მიწაზე.



დღეს კოლხურ კოშკს მსახიობები ეწვევიან. კონსტანტინე გამსახურდია და მისი მეუღლე მირანდა სტუმრების მოლოდინში.



ფილმზე მუშაობის მომენტი. წინა პლანზე რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი.

ახლო ხანში საქართველოს კინოსტუდია დაამთავრებს მხატვრული ფილმის „დიდოსტატის მარჯვენას“ (ორ სერიად) გადაღებას; სცენარს საფუძვლად უდევს გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანი

ფილმს დგამენ ცნობილი ქართველი რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი და დ. აბაშიძე. ოპერატორი — გ ჰელიძე, მხატვრები — კ. ხუციშვილი, შ. გოგოლაშვილი; კოსტუმები შესრულებულია მამია მალაზონიას ესკიზების მიხედვით. ფილმისათვის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა არჩილ კერესელიძემ.

ფილმში როლები ასეა განაწილებული: კონსტანტინე არსაკიძე — თენგიზ არჩვაძე, მეფე გიორგი — ოთარ მეღვინეთუხუცესი, შორენა — ლალი ბადურაშვილი, კათალიკოსი — ვასო გოძიაშვილი, ფარსმანი — აკაკი ვასაძე, ვარდისახარი — ლეილა აბაშიძე, გირშელი — გოგი გელოვანი, ზვიადი — ჯუანშერ ჟურხაძე.



კადრი ფილმიდან.



პატარა ნუცა დღემდე თავისუფლად დახტოდა ეზოში: ახლა აღარ სცალია გადაღებაზე დადის. ეს-ესაა დაბრუნდა სტუდიიდან.

# ფილმის გადაღების დროს


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები...

ფოტო
ოთარ თურქიასი
და
გონდო დადვაძისა

საუბარი მომავალ ფილმზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



თამადა.

# გოგი თოთიბაძე



ძველი თბილისი.



ესპანელი ბასკის წიგნაკი. მაიორ კოლეს გადახედა. მერე მე დამაცქერდა:

— დაუძახე მორიგე კაპრალს.

დავუძახე.

— კაპრალო, ალაჩოუში არავინ შემოუშვა. გესმის? არავინ!

— მესმის, ჩემო პოლკოვნიკო. — კაპრალი გავიდა.

— სერჟანტო, — მითხრა პოლკოვნიკმა, — ქრისტინო რევერას წიგნაკში შეცდომებია, ასე რომ, წიგნაკი უნდა შეიცვალოს, მოძებნე წიგნაკის საფუძველი და თან მოიტანე სუფთა წიგნაკი თავის საფუძვლით.

ბრძანება შევასრულე.

— შეავსე სუფთა წიგნაკი შემდეგი შესწორებებით:

გ ვ ა რ ი: ომუატი.

ს ა ხ ე ლ ი: ჟაკ-გაბრიელ-ონორე.

დ ა ი ბ ა დ ა: ბრისკუ, ბას-პირინეების ოლქი.

დ ა ბ ა დ ე ბ ი ს თ ა რ ი ღ ი: იგივე, რაც სერჟანტ რევერას წიგნაკშია.

წ ო დ ე ბ ა: ლეიტენანტი.

— დანარჩენი რევერას წიგნაკიდან გადაწერე... რევერა დაჯექი. დაელოდე.

გაოცებულმა მეგობარს შევხედე, განცვიფრებული დაეშვა სკამზე ქრისტინო. მაიორ კოლესკენ მივბრუნდი, ილიმებოდა. აღტაცებას დაენამა მისი თვალები.

დავიწყე წიგნაკის შევსება. პოლკოვნიკი რაღაცას წერდა.

— ჩემო პოლკოვნიკო, წიგნაკი მზად არის.

თითქოს არც გაეგონოს, წერა განაგრძო, მერე ნაწერი დაკეცა, კონვერტში ჩადო, რაღაც დააწერა და მითხრა:

— კეთილი, ახლა რევერას ძველ წიგნაკს სურათი ააძრე, ფრთხილად. ეცადე არ გააფუჭო და ჟაკ-გაბრიელ-ონორე ომუატის წიგნაკზე დააკარი.. მორჩი? მომეცი.

წიგნაკი გადავეცი, მაგიდის ყუთიდან ბეჭედი ამოიღო, დიდხანს უმიზნა და მერე დააკრა. დააკვირდა. მოეწონა. მაიორს შეხედა:

— ერთი აქ მობრძანდი, ძველო! — მაიორი ფიცხლად მოიჭრა უფროსთან.

— მოაწერა ხელი. აი, აქ.

უყოყმანოდ მოაწერა ხელი კოლემ და კმაყოფილებით გაუღიმა უფროს მეგობარს.

— პატარავ (ეს „პატარა" მე გახლდით), გაამზადე ჟაკ-გაბრიელ-ონორე ომუატის სადემობილიზაციო ფურცელი.

— მიმართულება?

— მიმართულება — ბრისკუ, ბას-პირინეები. მისამართი: ვილა „მანიტობა".

ფურცელი შევავსე და გადავეცი. ბეჭედი დააკრა, კოლემ ხელი მოაწერა.

ქრისტინოს შევხედე. ჩემი ძმაკაცი გაოგნებული იჯდა. ცრემლებს დაეცვარა მისი ლოყები.

— ლეიტენანტო ომუატ, — ყრუ ხმით მიმართა „ბებერმა მეკობრემ", ქრისტინო არ გაინძრა.

— რევერა, მე ლეიტენანტ ომუატს ვეძახი!

ჭაბუკი ბასკი მოხუც მხედართან მიიჭრა, თითქოს უნდოდა გულში ჩაკვროდა. შედგა.

— ჩემო პოლკოვნიკო, მაპატიეთ, ვიცი, წელან გული გატკინეთ, თქვენთვის არ უნდა მეკადრებინა. მადლობელი ვარ, მაგრამ ამ წიგნაკით ვერ ვისარგებლებ... ჩემს გამო ხიფათში ვერ გაგრევთ და თან, სადაც ჩემი ძმები, მეც იქ...

— ჩუმად! როდის შემდეგ ბედავს ჯარისკაცი სარდალთან კამათს? ჟაკ-გაბრიელ ონორე ომუატს დემობილიზაცია აღარ სჭირდება, — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა, — კარგა ხანია, რაც ის დემობილიზებულია, მის ადგილს სერჟანტი რევერა დაიჭერს. რაც შეეხება შენს ძმებს, იმათზე სხვებმა იფიქრეს და ის სხვები უთუოდ ჩემზე კარგი ფრანგები არიან. ხიფათი? ეს ხომ ჩემი პროფესიისათვის თანდაყოლილი რამ არის. აბა რად მეძახით „ბებერ მეკობრეს?"

ახლა კი ყური მათხოვე. ჩახვალ ბრისკუში, ვილა „მანიტობას" ადვილად მოძებნი, იქ ერთი მოხუცი ბასკი მანდილოსანი დაგხვდება. მანდილოსანს ამ წერილს გადასცემ, მიგიღებს. იმ ოჯახში ერთი ცარიელი ოთახია და დაიკავე, ერთი ცარიელი ლოგინი, იმ ლოგინში დაიძინე, ერთი ცარიელი სავარძელი — იმაში იჯექი და... მელოდე.

გაცემის, ღალატისა არ შეგეშინდეს, ქალაქის მერიდან გზირამდე, მღვდლიდან მნათემდე ყველა ბასკია, მთის ხალხისათვის გაცემა და ღალატი უცხოა. აი, შენი საბუთები.

წამოდგა. მიუახლოვდა. გულში ჩაიკრა. მეტის აღწერა მე არ ძალმიძს.

გონს რომ მოვედით, მოხუცი ომუატი იქ აღარ იყო. გაოგნებულნი ერთმანეთს შევყურებდით.

სიჩუმე მაიორმა კოლემ დაარღვია:

— დალახვროს ღმერთმა სამხედრო წესები და ცერემონია. თქვენი მეგობრობა ვიცი. ერთი წუთით დაივიწყეთ, რომ სამხედრო ალაჩოუში უფროსთან ხართ, მიდით, გადაეხვიეთ ერთმანეთს.

ერთმანეთს ჩავეკარით და ძმურ კოცნაში ყველაფერი ვთქვით.

— ახლა კი ჩემი ჯერია, თუ მეგობრები არა, იარაღის ძმები ხომ ვართ, — თქვა კოლემ და ქრისტინო ჩაიკრა.

— იცი რა, რევერა, მოხუცს ნუ აწყენინებ, წადი ბრისკუში და დაელოდე. ის ცარიელი ოთახი, ლოგინი და სავარძელი ლეიტენანტ ჟაკ-გაბრიელ-ონორე ომუატის, პოლკოვნიკ ჟან-ჟაკ ომუატის ერთადერთი შვილის ოთახი, ლოგინი და სავარძელია.

— ლეიტენანტი ჟაკ ომუატი მაჟინოს ხაზზე დაიღუპა, პირიანი კაცია „ბებერი მეკობრე", კარგი ფრანგი და დიდი მოქალაქე, — მაიორი ჩაფიქრდა.

— სანამდე შენი ბრისკუში წასვლის დეტალებს მოვიფიქრებდეთ, ალაჩოყიდან ნუ გახვალ, ნუ მიხვალ შენს რესპუბლიკელ ძმებთან. აკი გითხრა ბებერმა: „მათზე კარგი ფრანგები ფიქრობენო".

— ამ ბანაკიდან ვერც ერთ ესპანელს ვერ წაიყვანენ ვიშის ჟანდარმები, — ბრაზით დასძინა კოლემ და ალაჩოყიდან გავარდა.

ღამე არ გვძინებია. რა არ ვთქვით, რა არ გავიხსენეთ. დილით ადრე მაიორმა კოლემ ქრისტინო წაიყვანა.

გავიდა ოთხი დღე. პოლკოვნიკი ჩვეულებისამებრ დილის პატაკს ღებულობდა. ყველაზე ბოლოს ზემდეგი მერსიე შემოვიდა. კარები მიიხურა და უპატაკა:

— დილის შემოწმებაზე არც ერთი ესპანელი არ გამოცხადდა. მეორე ალაჩოყი ცარიელია.

— რამდენი დღეა, რაც ცარიელია? — შეეკითხა ომუატი.

— მესამე დღეა, ჩემო პოლკოვნიკო, — უპასუხა ზემდეგმა და მე გადმომხედა.

პოლკოვნიკი ადგა. ჩემთან მოვიდა და:

— სერჟანტო. ეს ორდენი სად და რისთვის მიიღეთ?

— მდინარე ენაზე, ათასეულის უკან დახევის დაცვისათვის, — ვუპასუხე გაოცებულმა; „ბებერმა მეკობრემ" კარგად იცოდა „რისთვის" და „სად", რადგან ორდენზე თითონვე წარმადგინა.

— მგონი დაგჭრეს კიდეც, მაგრამ ფრონტზე დარჩი.

— ჭრილობა მსუბუქი იყო, ჩემო პოლკოვნიკო!

ომუატი ზემდეგს მიუბრუნდა:

— გაიგონე, მერსიე? მაშ რამდენი დღეა, ალაჩოყი რომ ცარიელია? როგორა სთქვი? ვერ გავიგონე.

— სამი დღეა, ჩემო პოლკოვნიკო!

— და მხოლოდ დღეს მეუბნები?

მერსიე სდუმდა.

— კოლე, სამხედრო ოლქისათვის პატაკი შეადგინე. ოცი კაცი არ დაელოდა დემობილიზაციას და ოცდაერთ სექტემბერს, ღამით, კოსადის ბანაკიდან გაიპარა. გაქცეულების სია დაურთე: აღნიშნე, რომ გაიქცნენ იარაღაყრილი ნაწილიდან. შენი პატაკი, მერსიე?

— აი, ჩემო პოლკოვნიკო, — უპასუხა თვალებგაბრწყინებულმა მერსიემ.

— მერსიე, შენ სამოქალაქო ცხოვრებაში, თუ არა ვცდები, მასწავლებლობდი, არა?

— დიახ, ჩემო პოლკოვნიკო!

— ჰოდა, არ დაგავიწყდეს შენს მოწაფეებს ასწავლო, რომ საფრანგეთში, გარდა მასწავლებლებისა, სხვებიც არიან პატიოსანი ადამიანები და ერთგული ფრანგებიც.

რამდენიმე თვის შემდეგ ჩემი ჯერიც დადგა და შინ დავბრუნდი. დავისვენე.

თავის ისტორიაში ჯერ უნახავი კატასტროფით გაოგნებული საფრანგეთი გონს მოდიოდა. ხელახლა იწყებდა ბრძოლას. ომს განაგრძობდა, მაგრამ ამჯერად ომის ფორმები სულ სხვა იყო: მეომრებს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ, მხოლოდ გულისათვის აბჯარი აესხათ, იარაღი ჯიბეებში და ლაბადების ქვეშ მიემალათ.

* * *

**1941** წელი. შემოდგომა. გერმანელთა არმიები საბჭოების დედაქალაქისაკენ მიიწევენ... და აი, ჰიტლერელთა პირველი დიდი მარცხი... პირველი თბილი მზის სხივი ხალხებისათვის.

**1942** წელი. კვეხნით და ბაქიობით სავსე გერმანული სამხედრო ცნობები თავშეკავებულმა კომუნიკეებმა შეცვალეს. ყავისფერ პრესაში ახალი ტერმინები გამოჩნდა: „მოქნილი საფრონტო ხაზი", „ფრონტის ხაზის დამოკლება" და... კატასტროფა ვოლგაზე.

**1943** წელი. პარტიზანული მოძრაობა დაპყრობილ ქვეყნებში არნახულ მასშტაბებს აღწევს.

ქართველი ტყვეები საფრანგეთში ჩამოიყვანეს...

იატაკქვეშეთის ხელმძღვანელობა სამხრეთ საფრანგეთში მგზავნის. ქართველ პარტიზანებს უნდა შევხვდე.

მატარებელი გიენა-გასკონეთის დედაქალაქისაკენ მიმაქროლებს.

დილის შვიდი საათია. ბორდო. ვაგონიდან ჩამოვდივარ. დიდძალი ხალხი შეყრილა ერთ ადგილას და რაღაცას ათვალიერებს. მე ხომ ყველაფერი უნდა ვიცოდე, ყველაფერს ყური მივუგდო. ასეთია იატაკქვეშელის ჩვეულება.

იქით მივდივარ. კედელზე დიდი აფიშა. თვალებს არ ვუჯერი. ქრისტინოს სურათი და წარწერა ვეება ასოებით:

„200.000 საოკუპაციო მარკა იმას, ვინც დაიჭერს, ხელს შეუწყობს დაპატიმრებას, ან მოკლავს ამ ესპანელ ტერორისტს, ქრისტინო რევერას. კრიგსკომენდატურა".

ასეთ აფიშებს რამდენი ხანია შევეჩვიე, მაგრამ მეგობრის სურათმა ამაღელვა. მაინც რა იაფად შეუფასებიათ! კარებისაკენ გავემართე.

როგორი სევდა დაუფლებია საყვარელ, მხიარულ, უდარდელ და მშრომელ ქალაქს. მაშ ქრისტინო აქ არის, სადღაც ახლოს, იბრძვის დაუდეგარი, დაუმორჩილებელი.

ჩაფიქრებული მივყვები გარონის სანაპიროს, მერე მარცხნივ ვუხვევ და ალზასის პროსპექტით დათქმული ადგილისაკენ მივეშურები. აი, შუა საუკუნეების არქიტექტურის ხიამაყე — წმინდა ანდრიას ტაძარი — დათქმული ადგილი. ერთი ჭაბუკი ტაძრის ბჭეზე ქრისტინოს სურათს მისჩერებია. დამპყრობელს წმინდა ადგილიც არ დაუნდვია და მის პორტალზე გაუკრავს აფიშა, რომელიც მორწმუნეთ გამცემლობისკენ მოუწოდებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ალიო ადამია

# სიყვარულის და სიკვდილის ბალადა

### პროლოგი

წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში შეხვდნენ
და პირველ ხილვით შეუყვარდათ მათ ერთმანეთი.
ქალს წარბი ჰქონდა აშვილდული,
შველს გვერდით ედგა;
ქალის თვალებში ამაყობდნენ მთები სვანეთის,
ვაჟის თვალებში ირწეოდა კოლხეთის ხევდა.

ქალს მამა ახლდა,
ვაჟს კი — დედა.

### I

მირზა ხერგიანმა ბრძანა დახტური —
სუფრაზე შემოაწყვეს ჯიხვის ყანწები
და ანწლის არაყი;
ჭვარიდან ამოვა ბეგლარ ჭანტურია
და გუნდი მაყრების.

ჩონგურის ტარზე რქანაყარი ირემია,
ჩუმად გალობს ხერგიანის ასული ეთერი:
ჭვარელი ვაჟკაცები ისეთი გმირებია —
სვანეთის ეშხიან ქალებს რომ შეჰფერით.
ილხენენ, ცერებზე დგებიან,
ჩიტივით უფართქალებს ეთერ ქალს გული;
სადაცაა მაყრები ამოჯირითდებიან
ცხენების თქარათქურით.

ღელავს ეთერ ქალი დანიშნული,
უშბასაც უკვე დაეფინა ღამე;
მაგრამ გზებზე არ ისმის ჩამიჩუმიც
და ძილი შეჰპარვია ხრამებს.

„ავს ნიშნავს!“ იტყვის ხერგიანი
და შუბლს დაიღარავს იჭვებით;
ენგური მორებითაა გახერგილი —
შეშინდნენ ჭვარელი ბიჭები. —

და ვაი სირცხვილო! სიძეა?
ენგურს ვერ გასცურავს ძგერებით?
რომ გული მომეგო ქალისა,
უშბაზე ავსულვარ ცერებით,
ჩოქდაჩოქ ავსულვარ შხარაზე...
ეს კიდევ — ენგურმა შეაკრთო
და ჯიქად დამდგარა შარაზე.

ეჰეი, ბიჭებო, ცხენებზე,
ადათის ვინცა ხართ ერთგული!
...ჭენებით დაეშვნენ დალმართზე
და ღამის წყვდიადში მოესმათ
ზათქი და ღმუილი ენგურის.

### I I

ჭვარელმა რჩეულმა მხედრებმა
დილითვე დარახტეს ცხენები,
იოლი როდია გახცურო ენგური,
მულახში ეწვიო ხერგიანს;
აპრილში ენგური — ათასი თერგია.

დაეწყვნენ, წინ უძღვის მაყრიონს
თეთრ ცხენზე შემჯდარი ბეგლარი, —
მსუბუქად აგელვებს უტანდარს
ჭვარელთა პირველი მხედარი, —
მერე — კი გულს ველარ იოკებს —
მულახში უფრინავს თვალები...
მიწაზე გააკრეს ცხენები,
ნაპერწკლებს კვესავენ ნალები.

და ენგურს მიადგნენ ჭენებით,
ზღვას ჰგავდა მძვინვარეს ენგური.
შიშისგან გაქვავდნენ ცხენები,
ჩანელდა სიმღერა მეგრული...
შეცურვა ვერავინ შებედა.

და მერე დალმა დაუყვნენ ნაპირს
(ფონი უპოვონ ენგურს ეგება)...
გაუგიჟებია მდინარე აპრილს
და მღვრიე ტალღებს სახლისოდენას
ენგური ზღვაში მიერეკება.
ცხენს ათამაშებს მღვრიე ენგურთან,
თვალში ეთერის უელავს სახე.
ენგურის გაღმა ბილიკი თეთრი
მიდის, მულახის ბილიკებს ერთვის
და ხერგიანის კოშკთან თავდება...

სიმღერა, ცეკვა, ჩონგური გალობს.
მულახი ხვდება სიძე-კაცს ტაშით...
„აჰა, მე მოვედ, პატარა ქალო,
ენგურის ჩქერი გავაპე მკერდით
და ჯირითჯირით ამოველ მთაში.
აჰა, მე მოვედ!“

კოშკიდან თეთრი ჩამოდის ნისლი,
(ღამით ეს ნისლი უშბაზე იწვა). —
ჩონგურის ჩუმი გალობა ისმის,
ამოიმღერა მულახის მიწამ —
და ტანის რხევით მოდის ეთერი.
მოდის და ორი ასული ახლავს,
სიძისთვის მოაქვთ გვირგვინი თეთრი;
და ხერგიანის ჩახჩახა სახლთან
ზეცა და მიწა ერთმანეთს ერთვის—
ნეფე-დედოფალს ლოცავს მულახი.

„აჰა, მე მოვედ, პატარა ქალო!“
და გვერდით უდგას პატარა ქალი;
და ქალთა გუნდი ხმადაბლა გალობს,
და ვაჟთა გუნდის გუგუნებს ლილე —
ხერგიანების ელავენ ხმლები!
...და მერე ნელა აუყვნენ კიბეს
მგალობელთა და მლოცველთა ხლებით.

... ცხენს ათამაშებს მღვრიე ენგურთან,
თვალში ეთერის უელავს სახე.
მაყრიონისკენ წუთით შებრუნდა,
მერე მათრახი დაჰკრა უტანდარს —
ტალღების ღვარში შეაგდო ლაღად...
ამოტრიალდა ცხენკაცი ალმა,
და რუხ ტალღაზე გაწვა მორივით...
ეს იყო წუთით... და წუთის მერე
დაუოკებელ ენგურის ჩქერებს
ზღვისკენ მიჰქონდა კაციც და ცხენიც...

მდინარის მსხვერპლი ზღვამ არ მიიღო
და ალნარკიის მყუდრო უბეში
ნაპირს მიუგდო მულახის სიძე.

### III

დაბრუნდა. კოშკში მალვით ავიდა.
დუმილმა გათქვა ამბავი ავი.
და ხერგიანის ქალი თვალიდან
იმზირებოდა სიკვდილი შავი.
და ყოველივეს მიხვდა ეთერი.

ღამე არ ეთქმის მულახის ღამეს,
ნათელი ადგას ქედებს მისნური;
და მთებს ალმართულთ მეშვიდე ცამდე
ძილიც სჩვევიათ დარბაისლური
და სავშალივით ახურავთ ნისლი.

ქარი ააფრენს ღრუბლებს შხელდიდან
და გაიტაცებს მერე წყვილ-წყვილად;
თითქოს და ურა ცხენებს ხედნიან,
რომ ქარაფებზე შესძლონ სირბილი —
და ურა ცხენზე ჯდება ეთერი.

...შორს დარჩა სვანთა ლურჯი მთა-ველი,
და მოეკვეთა ცხენსაც მუხლები;
ეთერს ეტკინა ძუძუსთავები
ქათქათა, მკვრივი და ხელუხლები
და გვემულივით დაემხო ლოდზე.

და ასე დიდხანს იწვა გულაღმა,
ცრემლი სდიოდა წყვილ-წყვილ წვეთებად;
მერე, ქედებს რომ შემოულამდათ
და აღიმართნენ ცაში სვეტებად,
კვლავ ენგურისკენ დაეშვა ეთერ.

დალმა დაუყვა მდინარის ნაპირს
(ფონი უპოვოს ენგურს ეგება), —
გაუგიჟებია მდინარე აპრილს
და მღვრიე ტალღებს სახლისოდენას
ენგური ზღვაში მიერეკება.

### IV

გაცრეცილიყო ენგურის თქორი,
და ირხეოდნენ ტოტები ხეთა;
და ლოცვა ორი, და ლტოლვა ორი —
სვანეთის მთების ამაყი სული,
კოლხეთის ველის ვეება ხევდა —
ალნარკიასთან ერთმანეთს შეხვდა.
და მშვიდად იწვნენ მდინარის პირად,
(ტალღებზე თეთრი მტრედები ისხდნენ), —
ლეიბად სველი ეფინათ გვიმრა
და მიედრიკათ სხეული მზისკენ
იანვარივით გაყინულ ცხედრებს.

და ჩურჩულებდა ბაგე ვაჟისა:
„ჩამოფრენილი მთიდან ციცარი,
აუხდენელი ჩემი ოცნება;
ჯერ გამითენდი როგორც ცისკარი
და მერე გაჰქრი, ვით საოცრება!

ვერა, ვერ გავჭერ ენგურის ტალღა,
ველარ ამოვჰყევ მულახის გზაწვრილს,
შენ ცალად დარჩი ენგურის გაღმა,
მე კი — კოლხეთის ლაქაშში მაწვიმს,
და ჰა, ვიშლები ნაწილ-ნაწილად“.
და ლოცულობდნენ ტოტები ხეთა
და ჩურჩულებდა ბაგე ქალისა:
„მე მოვედ შენთან,
მე მოვედ შენთან,
მოვედ და გულის ყინული გალხვა,
რადგან სულები შეერთდნენ ჩვენი...
მე საქორწინო გვირგვინი მადგას,
შენც სიძე-კაცის გვირგვინი გშვენის —
ხერგიანების ჯილა გვირგვინი“.

### V

მერე მულახი დატოვა მირზამ —
ხერგიანების დადუმდა კოშკი.

ხევდახევ დადის, სერავს იალაღს,
ხან წაადგება უფსკრულს მთასავით;
და დადის მირზა ოხერტიალად
სვანეთის ღამის ჰრიალობასავით —
და შორეული ესმის გალობა:
„შეიშრე ცრემლი, შინ წადი, მამი,
ქედებზე თოვს და უკვე აცივდა.
დაპატარავდა ენგურის ტალღა...
ჩვენ მაღლა-მაღლა ამოვალთ ცურვით,
და შეგისრულებს ეთერი სურვილს —
მულახში მოვა სიძე-კაცითა“.

და ელის მირზა ეთერს და ბეგლარს.

### ეპილოგი

და ლოცვა ორი, ლტოლვა ორი, გალობა ორი,
ლაქაშში წევს და
იცრიცება ენგურის თქორი.
ეთერი გალობს, მსუბუქდება შავი ზღვის ნისლი.—
სვანეთის ტაძრებს აგალობებს გალობა მისი. —

ტალღების შხუილს
შავი ზღვისკენ მიჰყავს მდინარე,
კოლხეთის ველი ნისლიანში თავს იმძინარებს;
ვეება ხევდა ურჩხულივით აწევს ლაქაშებს,
ენგური ტალღებს მაინც ზათქით მიათამაშებს —

და შავი ზღვისპირს
შინდისფერი ამოჰყავს დილა.

# პოეტის ერთტომეული



ჭეშმარიტი პოეზია მუდამ იმ მაღალ იდეებს გამოხატავს, რომლებიც ადამიანებში განამტკიცებენ სიკეთისა და მეგობრობის, წყვდიადზე სინათლის გამარჯვების რწმენას.

ჭეშმარიტი პოეზია ყველა იმ გრძნობის თავმოყრა და გადმოცემაა, მკითხველს ზნეობრივად რომ ზრდის, სულიერად აკეთილშობილებს და სამშობლოს დიდ სიყვარულს განუმტკიცებს. ეს არის უპირველესი ნიშანი მთელი თანამედროვე ქართული პოეზიისა და ეს თვისებები ახასიათებს მისი გამოჩენილი ოსტატის ალეკო შენგელიას შემოქმედებას. ალეკო შენგელიას ლექსებში ცოცხლად და პლასტიკურად არის ასახული თანამედროვე ყოფა-ცხოვრების ღრმად შთამბეჭდავი სურათები.

ა. შენგელიას ლექსებში მთელი სიძლიერით გაისმის საბჭოთა პატრიოტის ომახიანი ხმა, სამშობლოს დასაცავად შემართული ვაჟკაცის აღთქმა. აქ, უპირველესად, მხედველობაში გვაქვს მისი დიდად გახმაურებული ლექსი — „ანდერძი“, რომელიც შთაგონებულია მშობლიური მიწისა და ცის სიყვარულით. პოეტმა კარგად იცის, რომ ეს სიყვარული მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როცა ის შერწყმულია ძმობისა და მეგობრობის იდეასთან, სხვა ერებისადმი პატივისცემის გრძნობასთან. ეს იდეები ხორცშესხმულია ლექსებში „ძმობა“, „ზეიმი ტუშინოზე“, „სტუმრად ტიმონინოში ფინჯან ჩაიზე“, „კოლმეურნე ტარიგინი“ და სხვ. ამ ქმნილებებიდან ნათლად ჩანს, თუ პოეტს რაოდენ ახარებს და თავისი ხალხის სიხარულად მიიჩნევს მოძმე სოციალისტური ერების ბედნიერ და უაღრესად შინაარსიან ცხოვრებას, ესოდენ ამაღლებული ლექსები რომ შთააგონა მას.

ალეკო შენგელიას პოეზიის ამოსავალი წერტილი თანამედროვე ცხოვრებაა; მისი ლექსი სუნთქავს და ცოცხლობს ხალხის ინტერესებით, საბჭოთა ადამიანების სიხარულითა და ტკივილებით. პოეზიის უპირველესი მოვალეობა ადამიანთა წინაშე სწორედ ეს გახლავთ. პოეტის ლექსებს ჩვენი დროის ნათელი ბეჭედი აზის. ამას ადასტურებს თუნდაც ლექსების ციკლი, „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“. ეს ცალკეული ლექსების მექანიკური შეერთება კი არ არის, არამედ შინაარსობრივად და კომპოზიციურად ერთი მთლიანი ნაწარმოებია, რომელიც დიდი მხატვრული სიმართლით გამოხატავს მეტალურგთა ცხოვრებას, ახალი ყოფის მშენებელთა მაღალ სულიერ განწყობილებას. ლექსების ეს ციკლი პირველი სერიოზული ნაწარმოებია ქართულ საბჭოთა პოეზიაში რუსთავის მეფოლადეთა ცხოვრებისა და ახალგაზრდა ქალაქის წარმოქმნაზე, მაღალ პოეტურ რეგისტრებში გაცხადებული. ერთი სიტყვით, „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“ თემითა და თავისი მხატვრული შესრულებით ორიგინალური ნაწარმოებია, სრულიად თავისებური და ახალი ფურცელი ქართული საბჭოთა პოეზიის ისტორიაში.

დიდი სამამულო ომის თემას საბჭოთა მწერლებმა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები მიუძღვნეს. ჩვენი პოეტიც ომის პირველ დღიდანვე, თანამოკალმეებთან ერთად, თავისი ალალი და გულწრფელი პოეტური სიტყვით განუმტკიცებდა ჩვენს ხალხს გამარჯვების რწმენას („სამშობლოსათვის“, „დედა“, „გზაში ფრონტელ ქალიშვილთან“, „მიწა“, „სანგარი“ და სხვ.); ალ. შენგელიას „წერილი მამას“ ჯარისკაცების საყვარელი ლექსი იყო, რომელსაც ისინი სანგრებში კითხულობდნენ. ეს ლექსი მუდამ დარჩება ჩვენს პოეზიაში, როგორც სამშობლოსათვის თავდადების მართალი ჰიმნი.

ალეკო შენგელიამ შესანიშნავად იცის ჩვენი ხალხის წარსული და აწმყო და როცა იგი თანამედროვეობის სულს გადმოგვცემს, მის პოეტურ პალიტრას მკაფიო ფერებს მატებენ დიდი წარსულის ნათელი სახეები. „აგური“, „ყანა“, „ამწეები“, „კოლხური შემოდგომა“ და არა მარტო ეს ლექსები, არამედ პოეტის ყველა ნაწარმოები, განათებულია თანამედროვე ადამიანის რწმენითა და სიხარულით. ამიტომ ვამბობთ, რომ ალეკო შენგელიას პოეზია მკითხველის მეგობარი და მუდმივი თანამგზავრია ლხინსა და ჭირში.

არ არიან მართალნი ის მოაზროვნეები, რომლებიც ამტკიცებენ თითქოს პოეზიასა და მეცნიერებას შორის რაღაც უფსკრული იყოს. მეცნიერების განვითარების გარეშე პოეზიის წინსვლაც შეუძლებელია. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „პოეზია ისეთი მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სურნელებას კარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგას, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არა ჰფურჩქნის“.

ამ კონტექსტში საინტერესო იქნება იმის გახსენება, რომ ბოლო წლების მანძილზე ალეკო შენგელიას ლექსებში ჩანს სულ უფრო და უფრო ღრმა დაინტერესება იმ ტრიუმფალური გამარჯვებებით, რომლებსაც ადამიანის გონება აღწევს მანამდე იდუმალებით მოცული კოსმოსის დაუფლების სფეროში; პოეტის ნაწარმოებებში სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება ფიქრები ვარსკვლავეთის იდუმალებაზე, იმაზე, თუ როგორ ხსნის ადამიანი კარიბჭეს ამ დაუსრულებელი სამყაროისას. როცა პოეტის ამ ციკლის ლექსებს ვკითხულობთ, კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, თუ როგორ გადადის პოეზიაში და მას ახალ ძალასა და ელვარებას მატებს ის, რასაც ადამიანმა მეცნიერების განვითარების გზით მიაღწია. ალეკო შენგელიას ლექსები „თანამედროვე“ და „გაგარინს“ — ყოველივე ამის ცოცხალი დადასტურებაა.

ეს ბუნებრივიც არის. ჩვენს დროში საოცრად გაფართოვდა ადამიანის სულიერი შესაძლებლობანი, მან უფრო მეტი იცის, უნდა უფრო შორს გაიხედოს. და ამან არ შეიძლება არ შეძრას პოეტის გულიც. მის ერთ ლექსში ვკითხულობთ:

**დედამიწაზე**
**სიცოცხლეა მხოლოდ მთავარი,**
**და მხოლოდ ბრძოლა,**
**რომ სიცოცხლე გეყოს ამ სოფლად.**

ერთი სიცოცხლე არ ჰყოფნის ადამიანს, რათა სამყაროს ყველა საიდუმლოს ჩასწვდეს, ხანმოკლეა წუთისოფელი, მაგრამ ადამიანი მაინც მიისწრაფვის გახსნას ბუნების საიდუმლოებანი, იმ ღრმა რწმენით აღჭურვილი, რომ მომავალი თაობა გააგრძელებს მის საქმეს.

ალეკო შენგელია ჭეშმარიტი ლირიკული ხმის პოეტია. მის ლექსში ისმის წრფელი ხმა ბუნებასა და ცხოვრებაზე შეყვარებული ადამიანისა, რომლისთვისაც ძვირფასი და მახლობელია ყოველივე, რაც ნათელ და კეთილშობილურ სიცოცხლეს ანსახიერებს. პოეტის ფიქრები ჩვენი ფიქრებიც არის; როდესაც იგი მოგვითხრობს სამშობლოზე, მის სახელოვან ადამიანებზე, ბუნებაზე, რომელიც მას საოცრად უყვარს, ჩვენ მთელი ძალით ვგრძნობთ იმ მღელვარებასა და ესთეტიკურ სიხარულს, რომელსაც ჭეშმარიტი პოეზია აღვიძებს.

ერთტომეულში შეტანილია ნორჩი მკითხველებისათვის განკუთვნილი ნაწარმოებებიც. ამ ლექსებისათვის დამახასიათებელია ყველა ის თვისება, რაც აუცილებელია საბავშვო ნაწარმოებისათვის — ენობრივი სისადავე, სურათოვნება, თვალსაჩინოება, ზომიერების გრძნობა, ფსიქოლოგიურად მართალი სიუჟეტები და, რაც მთავარია, ღრმა იდეურობა. ყოველივე ეს, ერთად აღებული, განაპირობებს პოეტის პოპულარობას ნორჩ მკითხველთა შორის.

ამას გარდა, პოეტს ერთტომეულში შეუტანია თავისი თარგმანები — მოძმე ხალხების პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, მისი თაობის საბჭოთა პოეტების ნაწარმოებები. ეს კარგ ტრადიციად იქცა ჩვენში — ხალხთა იმ დიდმა მეგობრობამ, რომელიც ჩვენი ცხოვრების კანონად იქცა, კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა ჩვენი ხალხის შრომისა და მოღვაწეობის ყველა სფეროში, და ცხადია, პოეზიაშიც.

პოეტის ერთტომეულში შეტანილი ნაწარმოებები ნათლად გვიჩვენებენ, თუ რაოდენ საინტერესო მხატვრული ძიების გზა გაიარა ალეკო შენგელიამ; მის ქმნილებებში მკაფიოდ გამოიხატა პოეტის ნათელი სულიერი სამყარო, აღსავსე სამშობლოს სიყვარულის ჩაუქრობელი შუქით და ელვარებით.

**ვლადიმერ ჯიბუტი.**



**გრიგოლ გვაძაბია**

ნამდვილი ამბავი

ცხელი დღე იყო. ჰაერში ბული ტრიალებდა, სუნთქვა უჭირდა ადამიანს; ნაშუადღევს საიდანღაც ქარმა დაბერა და თემშარაზე მტვრის კორიანტელი დააყენა, მალე მზეს კუპრისფერი ღრუბლები გადაეფარნენ და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

ოთახში, ტახტზე მიწოლილი, შუადღის სიცხისაგან გათანგული იონა წამოდგა და აივანზე გამოვიდა.

— მადლობა ღმერთს, ძლივს სული მოვითქვით! — ჩაილაპარაკა და წვიმას ხელი შეუშვირა.

კარმა გაიჭრიალა, აივანზე შილიფად ჩაცმული მზია გამოჩნდა, ყავით სავსე ფინჯნები გამოიტანა და მაგიდაზე დააწყო. მერე თვითონაც სკამზე ჩამოჯდა.

იონა მაგიდას მიუჯდა. ქალს თავისი ფინჯანი თითქოს დავიწყებოდა, სიყვარულით შესცქეროდა ქმარს. არა, ნამდვილად უფრო კარგი გახდა იონა, უფრო მზრუნველი, ალერსიანი... სახლი შეაკეთა, უცხოური ავეჯით აავსო ოჯახი, სმასაც უკლო; ქალი ბედნიერად გრძნობდა თავს — ასეთი ქმარი ბარე ორ ქალს არა ჰყავს მთელ სოფელში! გვიან ღამით, როცა მზია ტანგაუხდელად მიწვება ტახტზე და ქმარს ელის, იონა, რაც უნდა დაღლილ-დაქანცული დაბრუნდეს სამუშაოდან, მისკენ დაიხრება, მოეფერება, აბურდვილ თმას თითებით გადაუვარცხნის, მხარზე ხელს მოხვევს და თავისკენ მიიზიდავს.

როგორი ძლიერია, ღონიერი... მის გვერდით შეიძლება მშვიდად იყო, იმედით... არაფრის შიში არა გქონდეს...

ადრე კი, როგორ წუხდა მზია: იონა ვილაც მოქეიფეებს იყო გადაყოლილი, თავისი ლამაზი ცოლი თითქმის აღარც კი ახსოვდა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი გათავდა, კაცი ჭკუაზე მოვიდა, დადინჯდა.

ფიქრი იონას შეკითხვამ გააწყვეტინა:

— დედასაგან რა ისმის, მზია?

— სულ გადამავიწყდა, — შეშფოთდა ქალი, — დეპეშა მივიღე, ზეგ აპირებს ჩამოსვლას. უნდა წახვიდე წყალტუბოში.

— ზეგ? — შეწუხდა იონა, — რაღა ეგ დღე აირჩია. რამდენი საქმე მაქვს. ტრესტში უნდა მივიდე, მითხრეს, დაწინაურებას გიპირებენო, იქნებ მეშველოს, თორემ მთელი დღე ფეხზე დგომით არაქათი წამერთვა. თანაც ცოტას მაინც მოვიცლი, ოჯახს უფრო მივხედავ, შენც მოისვენებ. ისე კი, წუხელის ძალიან ცუდი სიზმარი ვნახე — წყალში ვიხრჩობოდი.

— ღმერთმა დაგიფაროს! უწინამც ჩემი კუბო გენახოს!

— სიზმრის კი არა, ცხადის აღარავის სჯერა, შე ქალო! ასე რათ შეწუხდი! ეგეც არ იყოს, უებარი წამალი ვიცი. ასეთ დროს ჭასთან უნდა მიხვიდე, შიგ კენჭს ჩააგდებ და სანამ სხვას ეტყოდე, ჭას მოუყევი ნანახი სიზმარი. მორჩა, ხიფათი აცილებული იქნება!

— შენ სულ ხუმრობ, იონა!

—ჰო, მართლა, მზია. მე ვერ მოვიცლი, დედა შენ უნდა ჩამოიყვანო!

— ეწყინება, მაგრამ მეტი რა გზაა. ასე იყოს.

მეორე დილით იონამ წყალტუბოსკენ მიმავალ პირველსავე ავტობუსზე გააცილა ცოლი.

— აბა შენ იცი, გზაში არ გაცივდეთ. დედა დამიკოცნე. ხვალვე გამოემგზავრეთ. მე აქ, ავტოსადგურში დაგხვდებით.

* * *

ავტობუსი წყალტუბოდან ბრუნდებოდა. სადაცაა ბოლო გაჩერებაც გამოჩნდება. მზია მინას აკვროდა და ნაცნობ თემშარას გასცქეროდა. თვალს არ აშორებდა მწვანეში ჩაფლულ მიდამოს, აქა-იქ ნაცნობთა სახეებმაც გაიელვეს. სულ რამდენიმე წუთი და იონასაც დაინახავს. ის ხომ სადგურში იცდის. ქალს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დიდი ხნის განმავლობაში არ ენახა საყვარელი ადამიანი.

ავტობუსი გაჩერდა. მზია პირველი გადმოვიდა მანქანიდან და, სანამ საფეხურზე შემდგარ დედამთილს ხელს შეაშველებდა, მოედანი შეათვალიერა. საშინელ დაღლილობას გრძნობდა, მაგრამ გული მაინც სიამით უძგერდა. სადაც არის იონას დაინახავს და თუ ქმარი უძილობის მიზეზს ჰკითხავს, დაუფიქრებლად უპასუხებს: „ამ ქვეყანაზე ყველა ქალს თავისი დარდი და საფიქრალი აქვს, უშენოდ თვალის მოტყუება ვეღარ შევიძელიო“.

მზია უკვე ღელავდა — ნუთუ იონამ სადგურზე გამოსვლა ვერ მოახერხა!

— არ მოსულა, შვილო? — შეეკითხა დედამთილი მზიას.

— აქ იქნება სადმე! — დაიმედა მზიამ.

იდგნენ და ამაოდ ელოდნენ.

— წავიდეთ, შვილო, ხომ იცი კაცის ამბავი, ვინ იცის, რა საქმე გამოუჩნდა...

მზია თემშარისკენ დაეშვა. კარგა ხანს იარეს, ვიდრე ნაცნობ მოსახვევთან გამოვიდოდნენ... აი ცოცხალი ღობეც, საყვარელი ეზო-კარი... ჩემოდანი ჭიშკართან დადგა, ერთი უკან მოიხედა, მერე სწრაფად გადაჭრა ეზო და კიბის საფეხურებს აჰყვა, კარი ღიაა, მაშ, იონა შინ არის! აივანზე შეჩერდა და მთელი ხმით დაიძახა:

— იონაა!

არავინ არ გამოხმაურებია.

— იონაა! — ხმა აუთრთოლდა მზიას.

კვლავ დუმილი.

მზია ოთახში შევარდა და... იმავე წამს ქალის საშინელმა კივილმა შეძრა იქაურობა.

დედამ რძლის კივილი რომ გაიგონა, თავზარი დაეცა. მიხვდა, რაღაც უბედურება იყო მის თავს, მიწის ფერი დაედო, ნაბიჯს აუჩქარა.

ქალების კივილმა მთელი უბანი ფეხზე დააყენა. მეზობლებს საზარელი სურათი წარმოუდგათ: იატაკზე ეყარა კარადის გალეწული უჯრები, ლეიბები, საბნები, ზეწრები, მუთაქები... საწოლი სისხლით იყო მოსვრილი. სისხლი ჩანდა კედელზეც და იატაკზეც.

მომხდარი ამბავი მილიციას შეატყობინეს.

— დედა, დედაა... ეს რა საცოდაობა ვნახეთ?! — მოთქვამდნენ მეზობლის ქალები.

— სად არის მოკლული! — იკითხა ვილაცამ.

— იქნებ საბანი გადააფარეს?

— ხელს ნუ ახლებთ ნურაფერს! — დაიძახა ერთმა მეზობელმა.

მკვლელობის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ რაიონის პროკურორი ზურაბ გუგუნავა, გამომძიებელი გიორგი ჭყონია და სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკები, რომელთაც გულდასმით დაათვალიერეს ჯერ ოთახები, შემდეგ ეზოკარი.

— აშკარად ბანდიტური თავდასხმაა, — თქვა პროკურორმა, — ჯერ მოკლეს და მერე გაძარცვეს...

— ვინ უნდა ჰყოლოდა იონა არდიას ასეთი მტერი? — რაღაც დაეჭვებით იკითხა გამომძიებელმა.

— სწორედ მაგის გამოცნობაა თქვენი საქმე! — მიუგო პროკურორმა.

— კარგი, მაგრამ გვამი რომ არსად ჩანს?!

— გვამი ალბათ გაიტაცეს იმ მიზნით, რომ ძიება დაებნიათ და გზა-კვალი აერიათ...

გიორგი ჭყონიამ გამადიდებელი შუშა ამოიღო და საწოლისკენ დაიხარა, ორიოდე წუთს ერთ წერტილს თვალმოუშორებლად მისჩერებოდა, შემდეგ წელში გაიმართა, იატაკზე დაქცეული სისხლი აიღო, სპეციალურ ჭურჭელში შეინახა, შემდეგ პროკურორს მოუხმო.

— საკვირველია, ასე მეჩვენება თითქოს სისხლი თბილი იყოს... ჯერ წესიერად შედედებულიც არ არის.

— იქნებ ტემპერატურის ბრალია.

— შეიძლება... ამ აგვისტოს სიცხეში... ბალიშს დააკვირდით, წინააღმდეგობის არავითარი კვალი არა ჩანს.

— ალბათ მძინარეს გამოელვიძა და ხმაური რომ არ გამოეწვიათ, მძარცველებმა მას სიცოცხლე მოუსწრაფეს. სწორედ მოულოდნელი დარტყმის შედეგია აგერ კედელზე შეშხეფებული სისხლი.

— ეგეც გამოირკვევა. ერთი კი ახლავე შეიძლება ითქვას: აქ მარტო ერთი ხელის ნამუშევარია. კვალიც ერთია.

— არ შეეძლო ერთ თავდამსხმელს მოეკლა კაცი, გაეძარცვა ბინა, სახლიდან გაეტანა მკვდარი და სადღაც გადაემალა. ყურადღება მიაქციეთ ეზოს, არავითარი სხვა კვალი არა ჩანს. მხოლოდ ერთი ბილიკია და ისიც ჭიშკარზე გადის.

— ეს რაიმეს აძლევს გამოძიებას?

— ვნახოთ!

გიორგი წუთით ჩაფიქრდა. გამხდარი, ოდნავ ფერმკრთალი ჭაბუკი მდიდარი საგამომძიებლო გამოცდილებით ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ ალღოსა და დაკვირვების უნარს უქებდნენ. თავისი ხანმოკლე მუშაობის მანძილზე მან უკვე რამდენიმე დახლართული საქმე გახსნა, რომლებზეც სხვებს ხელი ჩაქნეული ჰქონდათ.

ეს ახალი მკვლელობა კი მეტად უცნაური იყო:

მართალია, იონა არდია ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე ძალიან გამოიცვალა, ეტყობოდა, რაღაც გზით დიდძალი ფული იშოვა, და ამ მოკლე ხანში უფრო მეტი შეიძინა, ვიდრე მთელი სიცოცხლის მანძილზე. ეს კი შეუმჩნეველი არ დარჩენია ბოროტ თვალს და აი, შედეგმაც არ დააგვიანა, მკვლელები ფულს დაეხარბნენ, მაგრამ მაინც გაუგებარი იყო რათ დასჭირდათ გვამის გადამალვა?

ხანამ ოთახებში მიმობნეული ნივთების, საწოლის ფოტოგრაფირებასა და შემთხვევის ადგილის დათვალიერებას მოასწრებდნენ, ხანამ იონას დედასა და ცოლს მოაბრუნებდნენ, სოფლიდან ნახევარ კილომეტრზე მწყემსებმა მამაკაცის დასახიჩრებული გვამი იპოვეს, რომლის ამოცნობა ვერ შეძლეს. შეატყობინეს ყველას ეს ამბავი — აღნაგობა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი მიუთითებდა, რომ მოკლული იონა არდია უნდა ყოფილიყო.

ხანამ გვამს გაკვეთავდნენ, გულდასმით გასინჯეს ტანსაცმელი. სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებმა მოკლულის კოსტუმის გულისჯიბეში იონას პასპორტი, სამხედრო ბილეთი და საფულე აღმოაჩინეს. საფულეში, ორ ცალ ორმოცდაათმანეთიანთან ერთად, ქაღალდის ნაგლეჯიც იყო, რომელზეც გაკრული ხელით ეწერა: „უკანასკნელი ვადა — პირველი აგვისტოა. 10.000. თუ არა, გათავებულია შენი საქმე“.

გვამის გაკვეთამ დაადასტურა, რომ მოკლული დიდი სიმაღლიდან უნდა ყოფილიყო გადმოგდებული, დაცემის დროს მკლავები და ფეხები საშინლად დამტვრეოდა, ხოლო პირისახე და თავის ქალა ისე მოქცეოდა, რომ არავის არ შეეძლო მისი ამოცნობა.

— რას იტყვით ამაზე? — მიუბრუნდა პროკურორი გიორგის.

—ჯერჯერობით ვერაფერს. უფრო დეტალურად უნდა შევისწავლო ის ადგილი, სადაც გვამი იპოვეს, სინჯს ავიღებ, დავადგენ მანძილს გადმოვარდნისა და დაცემის ადგილებს შორის, ექსპერტიც დამჭირდება და მერე განვაგრძობ გამოძიებას.

მეორე დღეს გიორგი დამწუხრებულ ოჯახს ეწვია. შუა ოთახში, შავარშიაგადაფარებული დახურული კუბო ესვენა. სახეჩამოხოკილი ჭირისუფლები კუბოს გარს შემოსხდომოდნენ და მწარედ მოთქვამდნენ. გამომძიებლის დანახვაზე იონას დედა, ცოლი და ახლობლები მთელი ხმით აკივლდნენ.

— შვილო, შვილო, ვინ წამართვა შენი თავი, ვინ?! — კუბოზე თავს ახლიდა დედა. — ხალხნო, საფლავში ნუ ჩამატანთ ჩემი იონას დარდს, მაჩვენეთ მისი მკვლელი... ნუ შეარჩენთ ჩემი უდანაშაულო შვილის სისხლს!

გიორგიმ დიდხანს იცადა, ვიდრე დედა დამშვიდდებოდა, მერე ცალკე გაიხმო. გამომძიებელმა გაიგო, რომ იონას დედას შავი დღისთვის საკმაოდ დიდი თანხა ჰქონდა გადანახული, რომელიც მკვლელებს თან წაეღოთ.

— გარდა ფულისა, კიდევ რა წაიღეს?

— ოქროს ბეჭდები, საყურეები, საათები არა ჩანს.

გიორგი დაწვრილებით იწერდა ყველაფერს უბის წიგნაკში.

— ცოლ-ქმარს უკმაყოფილება ხომ არ ჰქონდათ?

— არა, რას ამბობთ? ბოლო ხანს მაინც სულ გამოიცვალა, დროზე მოდიოდა სახლში, კარგად იქცეოდა ოჯახში. სულ რაღაც ორი თვეა, რაც ეს ავეჯი შეიძინა და ახლა კი ხედავთ, — ვიღაცამ დაგვიქცია სახლ-კარი, ყველაფერი ოხრად დაგვრჩა.

მოკლული დიდი პატივისცემით დაასაფლავეს. იონას ჭირისდღეს აუარებელი ხალხი დაესწრო, გვიან საღამომდე ბარე ათასამდე კაცმა შესვა იონას სულის შესანდობარი, ხოლო ოდა-სახლის აივანზე, შავარშიაშემოვლებულ სურათს ქვეშ გაჩნდა წარწერა:

„დავტირით მარად დაუვიწყარ შვილსა და მეუღლეს, ჩვენს მუდამ საყვარელ იონას“.

დრო გადიოდა. იონას საფლავთან დილიდან საღამომდე მოთქვამდა გულმოკლული დედა; იონას გარდაცვალებიდან ოთხი თვის შემდეგ მზიას ბავშვი ეყოლა. ახალგაზრდა დედა ოთახიდან გარეთ არ გამოდიოდა, არწევდა აკვანს, და დასტიროდა თავის გამწარებულ ცხოვრებას.

— პატარავ, ობოლო, — მოთქვამდა მზია, — ნეტავ საცოდავ მამაშენს ღირსებოდა შენი დანახვა...

გლოვასა და მწუხარებაში მიდიოდა დღეები. იონას დედა თითქმის ყოველდღე ხვდებოდა გამომძიებელს და ევედრებოდა:

— შვილო გიორგი, ნუთუ ვერაფერი გაიგე აქამდე?

— ცოტაც დამაცადეთ, ქალბატონო!

— მეტი რა გზა გვაქვს, შვილო!

გამომძიებელმა მწუხარე დედა გააცილა, და მერე პროკურორისაკენ გაემართა. მოუყვა, როგორ მიმდინარეობს გამოძიება, ისიც მოახსენა, რომ აღძრული საქმე დღითიდღე იზრდებოდა, მასში თავს იყრიდა მრავალი სხვადასხვა ვერსია, ათასნაირი მითქმა-მოთქმა. ისიც დასძინა — სოფელში ხმა დაირხა — იონა შეყვარებულმა მოაკვლევინა და შემდეგ ის ქალი რუსეთში გაიქცაო. ბოლოს გამომძიებელმა თქვა:

— ამხანაგო პროკურორო, საკავშირო ძებნა უნდა გამოვაცხადოთ!

— ვისი ძებნა?

— იონა არდიასი!

პროკურორმა გაოცებით შეხედა გამომძიებელს.

— ყმაწვილო, შენ სიცხე ხომ არა გაქვს?!

— მე სერიოზულად გელაპარაკებით.

— რას მელაპარაკები სერიოზულად, კაცო, რას? სად გაგონილა ახეთი რამ, საკავშირო ძებნა გამოვაცხადო იმ ადამიანზე, რომელიც საფლავში წევს? ქვეყნის სასაცილოდ გავიხადოთ თავი? რას იტყვით მაშინ, მოსკოვის ან რომელიმე სხვა ქალაქის სისხლის სამართლის სამძებრომ ჩვენივე სოფლის სასაფლაოზე რომ მიგვითითოს და გვითხრას — კეთილი ინებეთ, გადადგით ორიოდე ნაბიჯი და საფლავიდან ამოიყვანეთ კაცი, რომელსაც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დაეძებთო! რა ვქნათ მაშინ?!

— მე მოვითხოვ, გამოვაცხადოთ საკავშირო ძებნა! — ჯიუტად გაიმეორა გამომძიებელმა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

# ერთი მარკის თავგადასავალი

შეიძლება ზოგმა არ იცის, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იშვიათ მარკებს უფრო მეტი ფასი აქვთ, ვიდრე სახელგანთქმულ მხატვრების სურათებსაც კი. მათ შორის არის მარკა „პოსტ ოფისი“.

1942 წელი... შემოდგომა... უკრაინელმა პარტიზანებმა ცხარე ბრძოლების შემდეგ ტყვედ იგდეს გერმანელი გენერალი. დაკითხვის დროს რუკები რომ ჩამოართვეს, გენერალი გულგრილად შეხვდა ამ ამბავს, მაგრამ დიდად შეშფოთდა, როცა მარკებით სავსე თავისი პორტსიგარი პარტიზანის ხელში დაინახა. პარტიზანს ეს არ გამოეპარა. და როცა პორტსიგარი პარტიზანული რაზმის უფროსს ნ. გლადჩენკოს მიუტანა, მაშინვე თავისი ეჭვი გამოსთქვა; პარტიზანების მეთაურს გაეცინა.

— ამ ჯოჯოხეთში მარკებისათვის მოიცალა მაგ წყეულმა?

— არა, ამხანაგო მეთაურო, მე ვფიქრობ, არის რაღაც საეჭვო პორტსიგარში ჩაწყობილ მარკებში. მარკები რომ ამოვიღე, გენერალმა მათ თვალი ვეღარ მოსწყვიტა.

დაფიქრდა პარტიზანების მეთაურიც, მერე ადგა და ყველაფერი ექსპერტიზას გაუგზავნა. გულმოდგინე გამოკვლევამ არაფერი საეჭვო არ აჩვენა და მარკები გენერლის დაკითხვის საქმეში დატოვეს.

გაიარეს წლებმა. ნ. გლადჩენკომ ერთხელ თავისი პარტიზანული რაზმის არქივი გადაათვალიერა და როცა მარკების პაკეტს წააწყდა, გადაწყვიტა სამახსოვროდ დაეტოვებინა თავისთან.

1956 წელს ინჟინერი ნ. გლადჩენკო დაუმეგობრდა მარკების დიდ მოყვარულს ვ. პანინს და სწორედ მას აჩუქა გერმანელი გენერლის მარკები.

პანინი ყურადღებით ათვალიერებდა ნაჩუქარ მარკებს, ერთმანეთისგან სათითაოდ არჩევდა, უცებ მოულოდნელად წამოიყვირა: ეს რა არის? ნუთუ „პოსტ ოფისი“?

დიახ, ის არ შემცდარა. მაგიდაზე მარკა „პოსტ ოფისი“ იდო.

მაინც რით გაითქვა ასე სახელი ამ მარკამ?

1847 წელს დიდი ბრიტანეთის კოლონიაში, კუნძულ მავრიკიაზე ხელისუფლებმა ახალი მარკის გამოშვება გადაწყვიტეს. შეკვეთა მისცეს ჟოზეფ ბარნარდს. მას უნდა ამოეჭრა ლითონზე დედოფალ ვიქტორიას სახე და გაეკეთებინა წარწერა: „პოსტეჯ პეიდ“, ე. ი. „საფოსტო ხარჯი გადახდილია“.

მაგრამ ოსტატი ბარნარდი, ცოტა არ იყოს, დაბნეული კაცი იყო. დედოფალ ვიქტორიას პროფილი კარგად გამოვიდა, მაგრამ უბედურება ის იყო, აღარ მოაგონდა თუ რა წარწერა უნდა გაეკეთებინა მარკაზე.

და აი, ნაცვლად იმისა, რომ წაეწერა რაც საჭირო იყო, წააწერა „პოსტ ოფის“ („საფოსტო კანტორა“).

მალე შვიდასი მარკა მზად იყო. გუბერნატორმა მარკას რომ დახედა, კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. წარწერა შეშლილი იყო.

სხვა გზა არ ჰქონდათ. მარკა მაინც გამოიყენეს, საზეიმო მიღების მოსაწვევ ბარათებზე უნდა დაეკრათ, ზეიმის გადადება შეუძლებელი იყო.

ამის შემდეგ მსოფლიოს ყველა ფილატელისტმა ნამდვილი ნადირობა დაიწყო მარკა „პოსტ ოფისის“ ხელში ჩასაგდებად.

საინტერესოა, რომ ექვსი წლის წინათ, ლონდონში აუქციონზე ორი „პოსტ ოფისის“ მარკა გაიყიდა 78.400 დოლარად. იგი ვინმე ამერიკელმა უელიმ შეისყიდა, ამ მარკების რიცხვი კი მთელ მსოფლიოში მხოლოდ 30 აღწევს.

...სწორედ ამ ოცდაათიდან ერთი „პოსტ ოფისის“ მარკა მოხვდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გერმანელი გენერლის მეოხებით 1942 წელს.

**ა. კარბელაშვილი**



თავის სამშობლოს — საქართველოს დაბრუნებოდა. როცა ეს განზრახვა სულთანმა გაიგო, თხუთმეტიათასკაციანი ჯარი შეკრიბა და აჭარაში, ხიხანის ციხესიმაგრეში გამაგრებულ სელიმს მიუსია. სელიმი ღალატით შეიპყრო არზრუმის სერასკერმა იბრაჰიმ შაბა-ფაშა ფეჰლევანმა და 1815 წლის ივნისში თავი მოჰკვეთა. ამის შემდეგ სულთანი ქართველებს აღარ ენდობოდა, ახალციხის ფაშებადაც სულ თურქებს ნიშნავდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ლიუტფი-ალი-ფაშა, რომელსაც 1818 წელს ეჭირა ეს პოსტი. იგი შემდეგ კვლავ თურქმა ხაზიფ-ალი-ფაშამ შეცვალა.

ახალციხე კვლავ მოთარეშე ლეკთა ბუდედ გადაიქცა. ისინი ძარცვავდნენ საქართველოს მოსახლეობას და იტაცებდნენ ქალ-ვაჟებს. 1818 წელს, ერთ-ერთი თავდასხმის დროს მათ სურამიდან გაუტაცნიათ თავად ფ-ს მეუღლე მაია (ისარლოვს გვარის მარტო დასაწყისი ასო აქვს მოხსენებული), რომელიც ახალციხის ფაშას ლიუტფი-ალის მიჰგვარეს; მან იგი ცოლად შეირთო.

იგი იმიტომ გადაიხვეწა ახალციხეშიო. ამ ქალაქში ჩასულმა ალიმ, როგორც საუკეთესო ცხენოსანმა და ცხენების მომთვინიერებელმა, მალე გაითქვა სახელი.

„ლტოლვილის“ დიდებამ ლიუტფი-ალი ფაშამდეც მიაღწია, რომელმაც ალი-აღა სამუშაოდ თავისთან წაიყვანა, თავის საჯინიბოში; მალე ალი-აღამ უფლება მოიპოვა ფაშას არაბული ცხენები გამოეყვანა როგორც დღისით, ისე ღამით. მიუხედავად ასეთი დიდი ნდობისა, ძალზე ძნელი იყო მაიას დანახვა, რადგანაც იგი ჩადრში იყო გახვეული, ხოლო ალი-აღა მას სახითაც ვერ იცნობდა. ამიტომ მან შემდეგ ხერხს მიმართა: როცა ქალები ალი-აღას მახლობლად ჩაივლიდნენ, ეს უკანასკნელი იწყებდა სიმღერას, რომელშიც მოთხრობილი იყო მაიას გატაცების ამბავი, აგრეთვე ისიც, რომ მის გამოსახსნელად გამოგზავნილია კაცი.

მღეროდა ალი გულისდამწველ სიმღერას სამშობლოზე, მიტოვებულ ოჯახზე და ტოლ-მეგობრებზე, სიმღერაში ასახელებდა ისეთ ადგილებს,

# მაიას გამოხსნა

გასულ წელს ჟურნალ „დროშის“ ფურცლებზე დაიბეჭდა გიორგი ლომთათიძის ძალზე საინტერესო ნარკვევები „საფლავის ქვათა ღაღადისი“. ერთ მათგანში აღწერილია 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომში დაღუპულ სვიმონ საგინაშვილის საფლავის ეპიტაფია. იქვე სქოლიოში მითითებულია, რომ ბრძოლის ველზე დაღუპული სვიმონის ცხედარი სამშობლოში ურმით ჩამოუსვენებია ერთ „ნაყაჩაღარ თათარს“, რომელიც გამოსწორების გზაზე დაუყენებია სვიმონის უფროს ძმას (ნ. მუსხელიშვილის პაპას), ისე, რომ რუსის ჯარის ოფიცერიც კი გამხდარა, სვიმონთან ერთად უომნია ოსმალთა წინააღმდეგ და ისე მოქცევია მას, როგორც ერთგული ძმა. (ჟურნ. „დროშა“ № 5. 1969 წ. გვ. 13).

ამ სტრიქონების კითხვისას გაგვახსენდა ლ. ისარლოვის წიგნი „წერილები საქართველოს შესახებ“*. მასში მოთხრობილია ერთ პიროვნებაზე, რომელიც ავტორს თვითონ უნახავს და, ჩვენი აზრით, სწორედ ის „ნაყაჩაღარი თათარი“ უნდა იყოს. საინტერესოა ამ პიროვნების ბიოგრაფია, რადგანაც იგი დაკავშირებულია საქართველოს იმდროინდელ უმაღლეს მმართველ წრეებთან და ერთგვარად შუქს ფენს სამხრეთ საქართველოს ისტორიულ წარსულსაც.

როგორც ცნობილია, 1744 წლიდან, როცა გაუქმდა ათაბაგობა, ახალციხეს სათავეში ფაშები ედგნენ. მოსახლეობის წინააღმდეგობის და აჯანყების შიშით, სულთანი ფაშებად ძირითადად ქართველებს ნიშნავდა. ბევრი მათგანი, მართალია. ოსმალეთის სამსახურში იყვნენ, მაგრამ მაინც ოპოზიციაში ედგნენ სულთანს და ხშირ შემთხვევაში იარაღითაც ებრძოდნენ! გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი ქართველი პატრიოტი სელიმ ხიმშიაშვილი, რომლისთვისაც ახალციხის ფაშობა სულთანს კი არ უბოძებია, არამედ თვითონ დაიმკვიდრა ეს ადგილი 1802 წელს. მას ადრე, აჭარის მმართველად ყოფნისას, მიმოწერა ჰქონდა მეფე ერეკლესთან და ქართველ დიდებულებთან, რათა სამფაშო განთავისუფლებულიყო ოსმალთა ბატონობისაგან და კვლავ

თავადმა ფ-მ და მისმა. ნათესავებმა სთხოვეს კავკასიის მთავარმართებელს გენერალ ა. პ. ერმოლოვს, რათა დახმარებოდა მათ და მაია როგორმე გამოეხსნათ ტყვეობიდან. მაგრამ ერთი ქალის გამოსახსნელად ერმოლოვი ომს ვერ დაიწყებდა. ამიტომ მან ორიგინალურ ხერხს მიმართა...

ამ დროისათვის ბორჩალოში, მანგლისსა და ბამბაკში მოქმედებდა თბილისის ციხიდან გამოქცეული ყაჩაღი ალი-აღა, რომელიც ვერაფრით ვერ ჩაიგდო ხელში ადმინისტრაციამ.

ალი-აღა მაღალი ტანის, ჩასკვნილი, გაბედული ცხენოსანი, მოხერხებული და კარგი მსროლელი, მამაცი და საოცრად ძლიერი ახალგაზრდა ყოფილა.

გენერალმა ერმოლოვმა გადაწყვიტა მაიას გამოსახსნელად გამოეყენებინა სწორედ ალი-აღა, მაგრამ მისი მოყვანა ძალზე ძნელი იყო. ციხიდან გაქცეული ჭაბუკი, ცხადია, არ ენდობოდა ერმოლოვს. უნდა მოეძებნათ სანდო კაცი, რომელიც შეძლებდა ალის მოყვანას. ბევრი ბჭობის შემდეგ ასეთი კაციც გამოინახა. იგი თანაუგრძნობდა ალი-აღას, რადგანაც ეს უკანასკნელი ციხეში უსამართლოდ ჩაამწყვდია მთავრობამ; თვითონ ყაჩაღიც ნდობით ეპყრობოდა მას.

გენერალმა ერმოლოვმა ამ კაცის პირით შეუთვალა ყაჩაღს — ძალიან დიდი საქმე მაქვს შენთან, მოდი, პირადად უნდა მოგელაპარაკო, თანაც საიდუმლოდ, ისე რომ ვერავინ გაიგოსო. ალი-აღა განცვიფრდა: რა უნდა სდომებოდა ასეთ დიდ კაცს, კავკასიის მბრძანებელს გაქცეულ ყაჩაღთან, მაგრამ დარწმუნებული, რომ გენერალი არ იკადრებდა ასეთი ვერაგული გზით მის ხელში ჩაგდებას, წავიდა ერმოლოვთან ისე, რომ თავის ახლო მეგობრებსაც კი არაფერი გაუმხილა.

გენერალმა ალი-აღას გაუხსენა მისი წარსული და უთხრა, თუ გატაცებულ მაიას ჩამოიყვან, ყველაფერს გაპატიებო.

ყაჩაღი დათანხმდა იმ პირობით, თუ გაატანდნენ თავად ფ-ს წერილს მაიასადმი. თხოვნა შეუსრულეს, ალი-აღა ახლა კი გაენდო თავის მეგობრებს, რომლებმაც წალკის და ახალქალაქის სოფლებში განზრახ ხმა დაყარეს, თითქოს რუსები ექსპედიციას გზავნიდნენ ალის შესაპყრობად და

რომლებიც მარტო მაიას შეიძლებოდა სცოდნოდა

და აი, ერთხელ ქალმა ფეხი შეაჩერა, ყური მიუგდო, დიდხანს უცქირა ალის.

ქალების ცხენებით მორიგი გასეირნების დროს მაია გამოეყო ამალას, დაღლილობა მოიმიზეზა და ალი-აღას უბრძანა ცხენიდან ჩამოსვლაში დამეხმარეო. ამ დროისათვის ალი-აღამ უკვე იცოდა მაიას გარეგნობა, ისარგებლა ამ შემთხვევით და ჩუმად გადასცა ქმრის წერილი.

ერთ წვიმიან ღამეს ახალციხის ფაშის სასახლის ალაყაფის კარები გაიღო და იქიდან ცხენებზე ამხედრებული ალი-აღა და მსახურის ტანსაცმელში გამოწყობილი მაია გამოვიდნენ. მალე გახელებული ცხენები მხედრებს ხერთვისის, თრიალეთისა და მანგლისის გზებით თბილისისაკენ მიაქროლებდნენ.

მაია თავის ოჯახს დაუბრუნდა. ერმოლოვმაც შეასრულა დანაპირები — ალი-აღას აპატია ძველი დანაშაული, მფარველობა აღუთქვა და აჩუქა ტანსაცმელი, ამასთან ერთად აუწყა გუბერნატორს, გენერალ-მაიორ ხოვენსა და ბორჩალოს ბოქაულს, რომ ალი-აღა შეწყალებულია და სახლდება თავის სოფელ არუხლოშიო.

1850 წლის აპრილში კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს ამ მხარეში გასეირნება და ახტალის მონასტრის ნახვა მოუსურვებია. მას და თანმხლებ პირებს სოფელ არუხლოში შეხვედრიათ ალი-აღა, მას ამ დროისათვის უკვე ხუთი ვაჟი ჰყავდა.

ჩვენი აზრით, სწორედ სვიმონ საგინაშვილის უფროსი ძმა იყო ის კაცი, რომელსაც ალი-აღამ საკუთარი სიცოცხლე ანდო, მივიდა გენერალ ერმოლოვთან, შეასრულა მისი დავალება და საბოლოოდ დაადგა პატიოსანი ადამიანის გზას.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1877 წელს ალი-აღას ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, უკვე მოხუცი იყო: მაგრამ ის კი შეიძლო, რომ ახლობელი ადამიანის ცხედარი სამშობლოში ჩამოასვენა.

რამაზ სურმანიძე
ქ. ბათუმი.

* Л. Исарлов. Письма о Грузии. Тифлис, 1899 г., стр. 101, 203—210.

# ჩეხური იუმორი

## თავაზიანი კაცი

ოჰ, რა დღე იყო, რა გასაჭირში ჩავცვივდით! ხალხით ისე გაიჭედა ჩვენი დაწესებულების შენობა, როგორც კასრი ქაშაყით. მერე ადამიანებს მაინც ჰგვანებოდნენ, ნამდვილი ანტიქრისტეები იყვნენ. თითქოს განგებ დაუძახესო, ყველა მყვირალას, უკმეხსა და ხეპრეს აქ მოეყარა თავი.

თუმცა, სჯობს, თავიდან გიამბოთ. ოღონდ ცოტა მოთმინება იქონიეთ და სული მომათქმევინეთ. ის დღე რომ გამახსენდება, თავში სისხლი ამივარდება ხოლმე.

ფოსტაში ვმუშაობ. ხომ მოგეხსენებათ: ეს ანაბრებიო, ეს ამანათებიო... ასეთ ადგილას ყოველთვის ფრთხილად უნდა იყო, რომ დღის ბოლოს საკუთარი ჯიბიდან არ მოგიხდეს დანაკლისის შევსება.

ჰოდა, ახლა თავად განსაჯეთ: რა სიკეთე დაგეყრება, თუ გვერდით მყვირალების ბრბო გიდგას და თავს ზემოდან ყვირიან, ჭკუას გარიგებენ, ანგლობენ, ილრინებიან, იგინებიან, გემუქრებიან და ისეთი გნიასი აქვთ, თითქოს ას ეშმაკს თავი ერთად მოეყაროს.

ჰოდა, სარკმელთან უამრავი ხალხი დგას. მე ოპერაციებს ვაწარმოებ, ვწერ ანაბრებს შემნახველი სალაროს წიგნაკში და უცებ მესმის:

— მაგდენ ხანს რას ქექავ, მორჩი რალა!

თითქოს რაღაცამ მიჩხვლიტაო, საშინლად მეწყინა. მე ხომ ზედმეტს არაფერს ვაკეთებ. ზოგჯერ კალამს ბეწვს თუ მოვაცლი და კვლავ საქმეს ვაგრძელებ.

მაინც შევიკავე თავი, მხოლოდ ჩემთვის ჩავიბურტყუნე:

— რა უტიფრად მელაპარაკება ეს რეგვენი!

წიგნაკს უსიტყვოდ ვუბრუნებ პატრონს და მორიგ მომსვლელს ვემსახურები.

ახლა სხვამ დაიწყო უბედობა:

— შეხეთ რა კრეტინივით ჩასცქერის წიგნაკს. კაცმა რომ თქვას, ხელფასს რაში აძლევენ?

— მეგობარო, თავაზიანი უნდა იყოთ, — ვთქვი მე და მერე ისეთი სიტყვა მესროლეს... ბეჭედი უადგილო ადგილას დავსვი.

და უცებ შემომესმა:

— ხედავთ, ხელები უკანკალებს მაგ ბოთეს!

ხელები მართლაც ამიკანკალდა. ასეთ სიტყვაზე, ხელები კი არა, ჭკუა შეერყევა კაცს. ნეტა სად გაიზარდნენ ეს მხეცები! მინდოდა მეთქვა, რომ მათ ჩვენს საფოსტო საქმეში არა გაეგებათ-რა, რომ მე ინსტრუქციით ვმუშაობ, მაგრამ ამ ხმაურში იმ ხეპრეებისათვის ხმა როგორ მიმეწვდინა!

რაღა ბევრი გავაგრძელო, ბოლოს და ბოლოს, როცა სარკმელი ჩამოვკეტე, თითქმის გაოგნებული და ქანცგაწყვეტილი ვიყავი.



### იან მარეში

ნერვების დასაწყნარებლად სტადიონისაკენ წასვლა გადავწყვიტე, გულს გადავაყოლებ-მეთქი. ბილეთი შევიძინე და ტრიბუნაზე ავედი.

მაგრამ განა შეიძლება ჩვენი სტადიონის იმედი იქონიო? ყველაფერი უაზროდ და უთავბოლოდ კეთდება, ჯერ ვზივარ ტრიბუნაზე და ფეხბურთელების გამოსვლას ვუცდი. გამოვიდნენ, მაგრამ ახლა მსაჯმა დააყოვნა. ბოლოს, როგორც იქნა, კეთილი ინებეს და თამაში დაიწყეს. თუმცა სჯობდა, სულაც არ დაეწყოთ. მარცხენა გარემარბი ისე უცნაურად და სასაცილოდ გაეთამაშა ბურთს, რომ ამის გადმოცემაც შეუძლებელია.

თავი ვერ შევიკავე და ვუყვირე:

— ბალერინასავით ნუ ცეკვავ პირითხაზთან, შე კრეტინო, გადაეცი ბურთი!

როგორც იქნა, დაარტყა, მაგრამ ვაი იმ დარტყმას. ცენტრფორვარდი თავისუფალი იყო, იმ იდიოტმა კი ნახევარმცველს მიაწოდა. ნახევარმცველმა ხომ სულ წაახდინა საქმე! ნაცვლად იმისა, რომ ბურთისათვის წინ დაერტყა, უკან მდგომ მოთამაშეს მიუგორა.

— რას შვრები, შე უტვინო, თუ თამაში არ იცი, გაეთრიე მოედნიდან! — ვუყვირი ნახევარმცველს. თავს ძლივს ვიკავებ, რომ მინდორზე არ გადავხტე და ერთი ლაზათიანი სილა არ ვაჭამო!

მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი წესიერი კომბინაცია არ ჩაუტარებიათ.

ხმის ჩახლეჩამდე ვღრიალებდი.

ამ დროს ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბურთი მიიღო კართან. მარტოა. ძლივს! — შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ რა! მსაჯმა დაუსტვინა, „თამაშგარე მდგომარეობაა“. მე რა თქმა უნდა. ვერ მოვითმინე და მივაძახე:

— რას უსტვენ, შე ჩიტირეკია, თამაშისა არა გაგეგება-რა!

მსაჯმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს ვერ გაიგონა. მაშინ ხმას ავუმაღლე:

—შენ ღორებს უნდა მწყემსავდე, ფეხბურთის მსაჯობა რა შენი საქმეა!

იმ თავხედმა და რეგვენმა მსაჯმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია და კარს მოსცილდა. ამ მოქმედებით მან საბოლოოდ გამოამჟღავნა თავისი სიჯიუტე.

თითო-ოროლა გულშემატკივარმაც დამიჭირა მხარი და ნამდვილი ჯოჯოხეთი დავატრიალეთ. და იცით, რა უცნაურობა მოხდა: ფეხბურთელები სულ ველარ თამაშობდნენ. მსაჯი ხომ მთლად მოტყდა. ხედავთ, რა ნაზი არსება ბრძანებულა! — მაყურებელთა სამართლიანი საყვედური ვერ აიტანა. მერე მეკარეს გავხედე და კინაღამ სიცილისაგან გავიგუდე. იმოდენა ვირგლა ჩიორასავით მობუზული იყო. ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა და ფეხები უკანკალებდა.

მაგრამ თქვენ ის თქვით, რომ მაყურებელთა შორისაც გამოტყვრნენ ხეპრეები და გაუთლელები! გაჩუმება დამიწყეს, მიმტკიცებდნენ, მოთამაშეებს შეურაცხყოფო, თვითონ არ იცით თამაშის წესები და სხვას ასწავლითო. კიდევ რაღაცას ლაყბობდნენ, მაგრამ ყურს ვინ უგდებდა! მიმიფურთხებია მათი თამაშის წესებისათვის! მე მოვითხოვ მწვავე და საინტერესო თამაშს. სულელურ წესებს რას დავეძებ! აი, რა ხალხია, არაფერს ანგარიშს არ უწევენ და თავიანთ მოსაზრებებს გაჩრიან. მერე რა უტიფრები არიან, იმის მაგიერ, რომ თავაზიანები იყვნენ!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა.

---

### ანტონინ პიხარი

## ერთობლივი გადაწყვეტილება

ჩვენი დაწესებულების თანამშრომლებმა გადაწყვიტეს თავი დაენებებიათ პაპიროსის წევისთვის; იმ ხანებში გაზეთში წაიკითხეს: თამბაქო ფილტვის კიბოს აჩენსო.

მანამდე კი, რა სანეტარო ცხოვრება ჰქონდათ: პირველ სიგარეტებს ჯერ კიდევ მუშაობის დაწყების წინ აბოლებდნენ ხოლმე, რათა დაწესებულება ნამდვილი მუშაობის სულისკვეთებით გამსჭვალულიყო. ამ დროს აზუსტებდნენ, გეგმებს, ამოწმებდნენ ჩატარებული მუშაობის დეტალებს; შემდეგ საჭირო ხდებოდა მეორე სიგარეტის მოკიდება — ამჯერად უკვე ნერვების დასამშვიდებლად. ამას მესამე მოსდევდა, მეოთხე და მეხუთე პაპიროსს თათბირზე სწევდნენ, მეექვსეს — სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად, მეშვიდეს საუზმის შემდეგ — შესვენების დროს და ა. შ.

და აი, გადაწყდა — ნულარავინ მოსწევსო. მაგრამ აქ საჭირო აღმოჩნდა ჯარიმის შემოღება. ასე, მაგალითად, კლოვაჩეკს პაპიროსის მოწევის შემთხვევაში, ჯარიმის სახით ჩვენი დაწესებულების რადიოკვანძში რაიმე არია უნდა ემღერა, ჰოვორკა ვალდებული იყო კუჭი ამოერეცხა, ჩეპელაკს სავშვის ეტლი უნდა გაეტარებია დაწესებულების ეზოში, რუბელს კი ალსარება წარმოეთქვა; ვალდებულებებს ყველამ ხელი მოაწერა. ბოლოს, საჯაროდ განადგურებულ იქნა უკანასკნელი პაპიროსები და სიგარეტები.

საფერფლე ჩაქუჩით დაამტვრიეს, ასანთის კოლოფები დაწვეს და ფანჯარაც გამოაღეს. სუფთა ჰაერმა თავისი გააკეთა, — ყველას ღიმილი ეფინა სახეზე. ასე განსაჯეთ ქალების მიმართ თავაზიანობასაც კი ვიჩენდით.

ორი-სამი საათის შემდეგ ჰოვორკას მუცლის გვრემა დაეწყო, მან პაპიროსის ცარიელ კოლოფს დაუწყო წიწკნა, ჩეპელაკი გავიდა და სალეჰი რეზინა იყიდა, კლოვაჩეკმა თავისი დამუშუშებული ქაშაყი ამოიღო, რუბელი კი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა ვიღაცას ტელეფონში.

დაწესებულებაში დაძაბულობა მატულობდა. ტელეფონის აპარატის ორკაპი ლამის დაიმსხვრა ყურმილის ხშირ-ხშირი დახეთქებით.

მომდევნო კვირას ადგილობრივ რადიოთი ორჯერ იქნა გადაცემული კლოვაჩეკის სიმღერა, ხოლო ჰოვორკას სამჯერ ამოურეცხეს კუჭი. სულ მალე პირველი მუდმივ სამუშაოზე მიიწვიეს რადიოსტუდიაში, მეორე კი პოლიკლინიკაში გადაიყვანეს, ფერშლის ადგილზე.

ბოლოს მინდა ორიოდე სიტყვა ჩემზეც გითხრათ: მთელ ამ ამბავში მე უშუალო მონაწილეობას არ ვიღებდი. როგორც იტყვიან, მხოლოდ მეთვალყურე ვიყავ, რადგან თამბაქოს არ ვეწეოდი. მაგრამ მთელი იმ კვირის განმავლობაში იმდენი რამ ითქვა პაპიროსის გასოლებით გამოწვეულ სიტკბოებაზე, რომ საცდელად მეც მოვწიე. ახლა კოლეგების მიბაძვით, მეც დღეში ოცდაათი პაპიროსი არ მყოფნის. რა იქნება შემდეგ? შემდეგ.. ალბათ მეც დავდებ პირობას, არასოდეს აღარ მოვწიო თამბაქო... ჩემი კოლეგების მსგავსად.

თარგმნა ხ. გელაშვილმა.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# მოზაიკა



## მანქანა უშოფროდ

პოსტზე მდგომი მილიციელი გაოკვებისაგან ადგილზე გაშეშდა: მის ახლოს უდიდესი სისწრაფით ჩაიქროლა მსუბუქმა ავტომობილმა, მასში არც მგზავრები ისხდნენ და, რაც გასაოცარი იყო, — შოფერიც არსად ჩანდა. გუშაგი მოტოციკლს მოახტა, უცნაურ მანქანას გაედევნა და, საკმაოდ რომ მიუახლოვდა, ერთხელ კიდევ დარწმუნდა: მანქანა ცარიელი იყო. წამოიჭრა არნახული სირთულის ამოცანა: როგორ ალკვეთოს ავარია, როგორ გააჩეროს გაცოფებული ურჩხული? მაგრამ მოულოდნელად მანქანა თვითონ გაჩერდა, შემდეგ კი ნელა მოუხვია და უკანვე დაბრუნდა...

ის, რაც ახლა წაიკითხეთ, ფანტასტიკური მოთხრობის დასაწყისი არ გეგონოთ. ეს არის მართვის ავტომატიზირებული სისტემიანი ავტომობილის „მოსკვიჩ-423“-ის საცდელი ნიმუშის გამოცდის რეალური სურათი. ასეთი სისტემა მოსკოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტში შეიქმნა, ყოველმხრივ გამოცდას გადის და უმჯობესდება. მანქანის სიჩქარის მართვას და მოცემული ტრაექტორიით მოძრაობას ავტომატები უზრუნველყოფენ რადიაქტიური იზოტოპების, ფერომაგნიტური მასალების და კონტრასტული ფერადი ზოლების დახმარებით.

იბადება კითხვა: რისთვის არის საჭირო უშოფრო მანქანა, რა აზრი აქვს ამ ექსპერიმენტებს?

ავტომობილის მართვის ავტომატიზაციის აუცილებლობა რამდენიმე შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას: გამოცდის დროს; მტვრიან, გაზით მოწამლულ და დასნებოვნებულ ადგილზე; მეტად სახიფათო ტრასებზე ცუდი ხილვადობის პირობებში (ნისლი, ძლიერი ქარბუქი, წვიმა); მცირე ჩაკეტილ უბნებში მუდმივი მუშაობისას, მაგალითად, კარიერის დამუშავებისას, საგზაო მშენებლობაზე ან შიდასაქარხნო გადაზიდვის დროს; ამჟამად შოფერ-ავტომატები გამოცდას გადიან თვითმცლელებზე, რომლებსაც იყენებენ ბალაკლავის მადაროთსამმართველოს კარიერებში. ამის გარდა, მანქანის ავტომატური მართვის სისტემის დასანერგავად მზადება მიმდინარეობს შორეული აღმოსავლეთისა და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში.



## ცაცია ბავშვები

ცაცია ბავშვი ან მოზრდილი ადამიანი! ვინ არ იცის, რაოდენ უხერხულობას განიცდიან ისინი. იმავე დროს, ცაციობა ორგანიზმის ისეთი თავისებურებაა, რომელიც ოდნავადაც არ წარმოადგენს დაბრკოლებას ადამიანის სრულფასოვანი განვითარებისათვის. ლეონარდო და ვინჩი და ფრანკლინი ცაციები იყვნენ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის უდიდესი ამაგი დაედოთ საკაცობრიო კულტურისათვის!

დღეისათვის ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა 5 პროცენტი ცაციები არიან, მაგრამ ასეთი პროპორცია ისტორიულად ყოველთვის როდი არსებობდა. ცალკეული არქეოლოგების მონაცემებით, ქვის ხანაში ადამიანთა ნახევარი, ხოლო ბრინჯაოს ხანაში 25 პროცენტი ცაციები იყვნენ. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ გულის დაცვის აუცილებლობამ განაპირობა მარცხენა ხელის სათანადო განვითარების პროცესის თანდათანობით შეჩერება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მშობლები და მასწავლებლები უკვე დიდი ხანია უმტკივნეულოდ ეგუებიან ბავშვების ცაციაობას, ვინაიდან ჯერ კიდევ 40 წლის წინ დადგინდა, რომ ენაბლუთა დიდ პროცენტს შეადგენენ ის ცაციები, რომლებისგანაც იძულებით მოითხოვდნენ მარჯვენა ხელის უპირატეს გამოყენებას.

ამ თეორიის მომხრენი აღნიშნავენ, რომ მეტყველების ცენტრები თავის ტვინის ქერქის ნახევარსფეროებში უშუალოდ არის დაკავშირებული ხელების მოძრაობასთან. ამიტომ, როცა ბავშვს ვაიძულებთ იხმაროს უმთავრესად მარჯვენა, ირღვევა სამეტყველო ცენტრის ნორმალური განვითარებაც. მაგრამ ფსიქოლოგთა უმრავლესობა იმ აზრს ემხრობა, ენაბლუობისა და ენის ბორძიკის მიზეზი, უმთავრესად წმინდა ემოციური ხასიათისაა (შიში, წყენა, ელდა).

## მორიელი და რადიაქტიური გამოსხივება

რადიაქტიური გამოსხივება, რომელიც თითქმის ყველა ცოცხალ არსებას სპობს, თურმე მორიელებისათვის სრულიად უვნებელი ყოფილა. რადიაქტიურმა ნალექებმა, რაც ფრანგების მიერ საჰარის უდაბნოში ატომური ბომბების გამოცდას მოჰყვა, ვერავითარი ვნება ვერ მიაყენა იქაურ მორიელებს. 600 რენტგენი ადამიანისათვის მომაკვდინებელია, მორიელები კი მშვენივრად გრძნობდნენ თავს 80 ათასი რენტგენის დოზის დროს, ხოლო რამდენიმე დღის



შემდეგ 154 ათას რენტგენსაც იტანდნენ.

სწავლულები ვარაუდობენ, რომ მორიელები დედამიწაზე 150 მილიონი წლის წინათ გაჩნდნენ. მათი ამგვარი იმუნიტეტის საიდუმლოება ჯერჯერობით ამოუხსნელი რჩება.

## როგორ იპოვეს ძველი ფრესკები

მატიანის ცნობით, XVI საუკუნის პირველ ნახევარში პოლონეთში ცხოვრობდა ერთი გამოჩენილი მხატვარი, რომელიც თურმე ქმნიდა უბრწყინვალეს ფრესკებს. ამ ფრესკებს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. პოლონური ხელოვნების ისტორიკოსები დიდი ხანია დაეძებდნენ ამ მხატვრის ნაწარმოებებს. მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო. მკვლევარებს დაკარგული ჰქონდათ იმის იმედი, რომ ამ ნაწარმოებებს ოდესმე მიაგნებდნენ.

და აი ერთ დღეს, საშინელი ავდრისა და ჭექა-ქუხილის დროს, ქ. სვიდნიცის რატუშის (ქალაქის სამმართველო) შენობას მეხი დაეცა. მეხმა რატუშის კედელზე ბათქაშით შელესილი ზედაფენა ჩამოარღვია, რომლის ქვეშ აღმოჩნდა მშვენიერი ფრესკები, დათარიღებული 1537 წლით. ქალაქის სამმართველომ მაშინვე დაცალა ეს შენობა, მას მეცნიერები და მხატვარ-რესტავრატორები დაეპატრონენ.

გარეკანის პირველ გვერდზე: ფილმის „დიდოსტატის მარჯვენის“ მონაწილე მსახიობები სტუმრად კონსტანტინე გამსახურდიასთან. ფოტო ო. თურქიასი და ბ. დადვაძისა. მეოთხე გვერდზე: ახალგაზრდა ასტრონომები. ფოტო თ. არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 8/XII-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/XII-69 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 43.100. შეკვ. № 3637. უე 02468.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина. 14.



ზამთარი იმერეთში. ფოტო თარხან არჩვაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა